საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

შაბათი, 17 ივლისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი [illegible] 5 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] სტრიქონი 10 მანეთი, [illegible] 6 მანეთი. [illegible] (15—2) 200 მანეთი. [illegible] რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესასვლელი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 159

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 159

Библиотека

## საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესასვლელი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

[illegible] 17 ივლისს [illegible]

**სპირიდონ იოსების ძის გუნცაძის**

[illegible] (2310 2—2)

[illegible]

**ყარამან ანთიძის**

[illegible] 18 ივლისს [illegible] (2333 2—1)

[illegible]

**ელიზბარი პეტრეს ძე კაკაბაძე**

[illegible] 18 ივლისს [illegible] (2338 1—1)

[illegible]

**ელიზბარი პეტრეს ძე კაკაბაძე**

[illegible] 18 ივლისს [illegible]

[illegible]

**ელიზბარი პეტრეს ძე კაკაბაძე**

[illegible] 18 ივლისს [illegible]

## ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

[illegible] 19 ივლისს [illegible]

**ყრილობას**

[illegible] 1920 წ. [illegible]

**ერობის გამგეობა.** (2306 5, 4—3)

## თელავის სამაზრო ერობის გამგეობა

[illegible] 1920 წ. [illegible] (2306—3—2)

## თელავის სამაზრო ერობაში

[illegible] 10.000 მ. [illegible] 1 აგვისტომდის 1920 წ. [illegible]

(2304—3—2) **გამგეობა.**

## თელავის სამაზრო

[illegible] 1920 წ.

(2305—3—2) **გამგეობა.**

## მეორე ქართული კლუბი

პლეხანოვის პროსპ. № 129.

[illegible]

**საღამო-სეირნობას**

22 ივლისს [illegible] (ნ. 1—1)

## მუშათა კლუბის სახელობით ერთი

[illegible] 17 ივლისს [illegible]

**გრანდიოზულ საღამო-სეირნობას**

[illegible] (ნ. 1—1)

---

**კინო პალასი**
პლეხანოვის პრ. 125.

**სპეციალურათ მუშებისათვის**

**კვირას 18 ივლისს**

12—3 საათამდე აჩვენებენ სააქციონერო საზოგადოება „ფილმის“ მიერ გადაღებულ სურათს 2 ნაწილათ.

## საზეიმო შემოერთება ბათუმის საქართველოსთან 7 ივლისს

სურათში დაწვრილებით არის გადაღებული ყველა ეპიზოდები. აგრეთვე ნაჩვენები იქნება მხიარული კომედია **მაქს ლინდერის** მონაწილეობით. ბილეთების ფასი 20 მანეთია. ბილეთები მუშათა ორგანიზაციებს და კერძო პირებს შეუძლიანთ მიიღონ პარასკებიდან დაწყებული დილ. 10—2 საათ. შემოსავლის ნაწილი გადაიდება დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ. (2335—1—1)

## მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა „ქართლი“

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლს“ გორის სამაზრო ერობასთან ერთად აქვს გასაყიდათ მომზადებული დიდძალი **ზამთრის ხილი.** მსურველთ შეუძლიანთ **დაკვეთა** ხელმისაწვდომ ფასებში

**ფუთობით და ვაგონობით**

აქაურ თუ საზღვარ-გარეთულ ბაზრისთვის გამზადებული (упаковка). მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 4, „ქართლი“. **ამხანაგობის გამგეობა.** (2163—6—5)

ექიმი

**ნიკოლოზ** სიმ.-ძე **ხერხეული**

იღებს სნებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

**ამით ვაცხადებთ, რომ ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მე-7 ყრილობა 18 ივლისიდან გადადებულია 25 ივლისისათვის.**

**გამგეობა.**

(2332—1—1)

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 129).

შაბათს, 17 ივლისს — შაბათს, 17 ივლისს

კლუბში გაიმართება

## საზაფხულო საღამო

ცეკვა, სიმღერა, მუსიკა და სხვა გასართობები.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე. (ნ. 1—1)

## განცხადება.

გიაურ-არხის მამულის გამგე ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 ივლისს

**დანიშნულია ტორღი ყოფილ არამიანცის ხეხილის ბაღისა და გიაურ-არხის ხუტორში ვენახისა.**

პირობების გაგება მამულის გამგესთან და მიწად-მოქმედების სამინისტროში.

(2334—1—1)

## „ზლან-ნუარ“

პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 83.

**დღეს, 17 ივლისს, ღიაა ღამის 3 საათამდე.**

## კაბარე

საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.

ყოველ დღე სადილი 2—5 საათამდე. ვახშამი 9—11 საათამდე.

სადილობის და ვახშმობის დროს უკრავს

**სიმებიანი ორკესტრი**

ფასები კონკურენციის გარეშე. % მოსპობილია.

(2336—1—1) პასუხისმგებელია **დაჭრილთა კავშირი.**

---

## ვინ ემუქრება საქართველოს?

ჩვენ ხელთა გვაქვს კომუნისტ-ოფიცრების წერილი ბ. კიროვისადმი. როგორც ერთს წვეთ წყალში მზის სხივი, ისე ნათლად გამოსჩანს ამ წერილში მთელი არსება იმ სულიერ განწყობილებისა, რომელიც კომუნისტებს საქართველოს სამტროდ ამხედრებს.

წერილის ავტორია ვინმე სმირნსკი. ნიკოლოზის დროს მას, როგორც წერილიდან სჩანს, უცხოვრია თფილისში, სადაც დღესაც უზრუნველად ცხოვრობს მისი ოჯახი („ცნობები შეკრიბეთ ჩემს ოჯახზეო“, სთხოვს ბ. კიროვს). დენიკინის შემოტევის დროს იგი თფილისში დაპატიმრებული იყო. ჩრდილო-კავკასიაში თვით კომუნისტებმაც დააპატიმრეს იგი, როგორც დენიკინელი. თქმა არ უნდა ბ. სმირნსკი ვერ იქნება კმაყოფილი ჩვენი მთავრობის და ჩვენი რესპუბლიკისა: რევოლიუციამდის იგი, როგორც რუსი-ოფიცრები, ნამდვილ ბატონათ გრძნობდა თფილისში თავს და რევოლიუციის წყალობით იგი, როგორც თითონვე აღიარებს, „დევნილის მგელის“ მდგომარეობაში ჩავარდნილა. სხვანაირათ არც შეიძლება მოქცეოდა რევოლიუცია ნიკოლოზის ერთგულ მსახურთ. მაგრამ სმირნსკი ამნაირი მოპყრობით საშინლად გაბოროტებულა და საქართველოს და ქართველების მიმართ შურის ძიების ალი აღგზნებულა მის გულში. საქართველოზე ჯავრის ამოყრას ცდილა ჯერ როგორც დენიკინის ჯარის ოფიცერი. როდესაც კომუნისტებმა გაიმარჯვეს დენიკინზე, იგი კომუნისტების ჯარში შესულა და თავისი წინანდელი სარდლის დენიკინის წინააღმდეგ დაუწყია ბრძოლა. იგი თითონვე აღიარებს, საქართველოში ყოფნის დროს (ე. ი. სულ 2 წლის წინათ) მე „კომუნისტი არ ვიყავო. „დღეს კი მე მორწმუნე კომუნისტი ვარო“.

ასეთია ის პიროვნება, რომელიც ოცნებობს თბილისის აღებას თავისი არტილერიით ისევე, როგორც მან აიღო როსტოვი, ეკატერინოდარა და სხ., რომელიც ნატრულობს თბილისში „ავტომობილით შემოსვლას“, იმ ავტომობილით, რომლითაც მას ასტრახანის რაიონი მოუვლია. დღეს იგი, როგორც ადგილობრივი ხალხის „მცოდნე“, რჩევას აძლევს კიროვს პოლიტიკური ხაზის შესახებ: „დამიჯერეთ, ამხანაგო კიროვო, **ნუ ენდობით ქართველებს,** რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ჩვენთან ერთად ვერ ივლიან“.

სმირნსკის პიროვნებაზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება იმიტომ, რომ ეს პიროვნება ტიპიურია და დამახასიათებელია საქართველოს მტრების ერთი კატეგორიისა, რომლებიც დღეს კომუნისტების ბანაკში მოკალათებულან და საქართველოს დაპყრობაზე ოცნებობენ. ეს გახლავთ რევოლიუციის შემდეგ უადგილოთ დარჩენილი რუსი ჩინოვნიკები და ნიკოლოზის ოფიცრები. დენიკინის მძლავრობის დროს ისინი დონზე თერგის და ყუბანის მხარეში გააფთრებულს აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოზე გამოსალაშქრებლად, იგონებდნენ ყოველს საზიზღარ ჭორს,—საქართველოში რუსებს იჭერენ და თავისუფლების მოედანზე ახრჩობენო. გავიდა დრო, დენიკინის შავი ლაშქარი დამარცხდა და მასში თავმოყრილ საქართველოს მტრებს ანგარიში წაუხდათ. მაგრამ რა თქმა უნდა, მათ მტრობა არ მოიშალეს. შავი ფერი „წითლად“ შეღებეს—დენიკინის ჯარიდან „წითელ“ არმიაში გადაბარგდნენ: ისინი „დღეს მორწმუნე კომუნისტები არიან.“ძველი რწმენიდან მათ ერთი თანდაყოლილი და აღმოუფხვრელი თვისება ვერ მოუშორებიათ: ეს არის ის, რასაც თვით ლენინი უწოდებს **„ველიკოროსიულ შოვინიზმს.“** ეს გაწითლებული ნიკოლოზის ჩინოვნიკები და ოფიცრები ფხიზლივ თუ ძილში ნატრულობენ თფილისში შემოსვლას ასტრახანის ავტომობილებით“. თფილისში შემოსვლაზე ოცნება მათ „განსაკუთრებული სიამოვნებას“ ჰგვრის, რადგან ისინი შურის ძიებაზე არიან აღტყინებული არა მარტო „რამიშვილების“, ე. ი. საქართველოს მთავრობის მიმართ, არამედ მთელი **ქართველი ხალხის** მიმართ: **„არ ენდოთ ქართველებს!“** აი ის ლოზუნგი, რომლითაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ მხედრდებიან.

„არ ენდოთ ქართველებს!“—გაიძახოდენ ეს ვაჟბატონები, როდესაც ისინი თფილისში და საქართველოს ტერიტორიაზე გვევლინებოდენ გუბერნატორებზის, მაზრის უფროსების, ჟანდარმების აფიცრების სახით, როდესაც ისინი ყოველს ქართულს სდევნიდენ და ქართველების გარუსების პოლიტიკას ეწეოდენ; „არ ენდოთ ქართველებს“, გაჰკიოდენ ისინი, როდესაც ისინი, საქართველოს ბატონობიდან ჩამოგდებულნი, დენიკინის თანამშრომლათ იყვნენ. „ნუ ენდობით ქართველებს“, გაიძახიან დღეს ისინი, „მორწმუნე კომუნისტებათ“ გადაქცეულნი.

საქართველოს მტრებს უკვე სამჯერ გამოუცვლიათ ქერქი, მაგრამ მათ „გული აქვთ ისევ ძველი“. ეს გული წინანდებურათ ფეთქავს **იმპერიალიზმით, „ველიკოროსიული შოვინიზმით“. საქართველოსადმი სიძულვილით.**

ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ბ. კიროვი არის პასუხისმგებელი ყველა იმ წერილისათვის, რომლებიც მას მოსდის კომუნისტურ ქურქში გახვეულ იმპერიალისტებისაგან და გუშინდელ შავრაზმელებისაგან. მაგრამ სმირნსკის წერილი თვით ბ. კიროვისათვისაც კარგი გაკვეთილია: ამ წერილიდან მან უნდა დაინახოს, რა ჯურის ხალხი ცდილობს რუსეთის და საქართველოს გადამტერებას და მათ შორის ხავის დარღვევას.

## პრესა

რუსულ-ქართულ „კომუნისტმა“ მოხსნა გუდას თავი და შიგ დაგუბული სიმყრალე თავის ფურცლებზე გადმოანთხია. ის საყვედურობს, რომ მენშევიკები მათ წინააღმდეგ პროვოკაციას ეწევიან და ასე იქცევიან იმიტომ, რომ სიკვდილის მოახლოვებას გრძნობენო.

„კომუნისტმა“ კარგათ იცის, რომ მენშევიკები სულაც არ ფიქრობენ სიკვდილზე, არც სურვილი აქვთ ამის. ისიც კარგათ იცის „კომუნისტმა“, რომ მენშევიკები ისე არ მოკვდებიან, რომ „გზა თელი, მისგან შთენილი“ია-ვარდით შეიმკოს ბატონი კომუნისტების, სასეირნოთ. ყოველივე ეს კარგათ იცის მარა თუ მაინც ჩვენ სიკვდილზე სწერს და გვატყობინებს კიდეც „სამარე გათხრილიაო“ „კომ“. № 13)—ეს იმიტომ, რომ გული მოიოხოს და მისი თანამოაზრენის აშლილი ნერვები დააწყნაროს.

ბოლშევიკების ლექსიკონს ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ. ისინი ცნობილი „სკვერნოსლოვები“ არიან. ამით, რასაკვირველია, თფილისის მქლე და დამლრალი „კომუნისტი“ ვერ გაგვაკვირებს. ესენი ხომ წიწილებია იმ დიდი კომუნისტების, რომლების სპეციალობასაც მაგარი და მყრალი სიტყვების გამოგონება შეადგენს.

როგორც ქართული, ისე რუსული „კომუნისტი“ წარა-მარა იხსენიებენ ალექსანდროვის ბაღში მომხდარ ამბებს. რატომ ნეტავი? სინდისი ხომ არ ქენჯნიან და აჩრდილი ჩადენილი ბოროტებისა, ხომ არ უფრთხობს ძილს გალაღებულ კომუნისტებს?!

ჩვენ თავის დამცირებათ მივვაჩნია პასუხის გაცემა იმ ლანძღვა-გინებაზე, რომლითაც ჩვენ ვინმე ტამარინი ვვამკობს და, ვუბრუნებთ რა უკან უკლისათ, ნებას ვაძლევთ თავის თავს ვკითხოთ ბ. კომუნისტებს—რამდენი მიტინგი, რამდენი სოფელი და ქალაქი დაუხვრეტია და გაუნადგურებია საბჭოთა კომისარებს რუსეთში? რა ხალხი სხედან ჩრეზვიჩაიკაში და რომელი „სოციალური რევოლიუციის მზის“ წმინდა და მოკამკამე სხივებია ყველა ის კომისარები და კომუნისტები,რომლების საგმირო საქმეების მოგონებაზე ზოგი იდეური ბოლშევიკი თმებს და წვერებს იგლიჯენ?

„მენშევიკების საფლავი გათხრილიაო“—ირწმუნება „კომუნისტი“. ალბათ, ჩვენი დასაფლავების ცერემონიალიც შემუშავებულია და აი, როცა ჩვენს საფლავზე ბატონი კომუნისტები თავის სისხლიან ქლეხს გამართავენ და მას შეირგებენ—მაშინ დაიკვეხონ.

* *
*

„საქართველოს კომუნისტში“ ხშირათ იბეჭდება მისალმების წერილები და ხშირად ეს წერილები ხელმოწერილია ერთი ასოთი. ცხადია, ავტორს ან ეშინია, ან სცხვენია. ეშინია, ალბათ, დაჭერის. მარა ვინ არ იცის, რომ არც ერთი კომუნისტი ლეგალური მუშაობისათვის არ დაუჭირავს არავის და არც დაიჭერს არავინ. მაშ რის ეშინია? ან და ვთქვათ დაიჭერენ, განა იდეიურმა ბრძოლამ იცის ასეთი შიში?! კომუნისტები ქვეყანას აუწყებენ—ჩვენი იდეია მსოფლიოს დაიპყრობსო და ამავე დროს კი გვარის მოწერასაც ვერ ბედავენ!! ან იქნებ სცხვენიათ? სცხვენია იმის, რომ არავის არ უნდა მათი მისალმება და შეთხზული მისალმებანი ავტორს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. თუმცა ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ეს ასეა, რადგან, როგორც ვიცით, ჩვენს კომუნისტებს არავისი არ სცხვენიანთ...

ჩვენს რედაქციაში შემოიტანეს შემდეგი წერილი:

5 ივლისი, ქ. ბაქო.

## ძვირფასო ამხანაგო კიროვო!

შედარებით არც ისე დიდი ხანია, რაც თქვენ დაგშორდით ჩვენი კერძო ცხოვრების ერთ მდგომარეობაში—ვიყავით საზოგადო ბინაზე, მეტად ცუდ ლოგინზე და ცუდი სადილით, რომელსაც ვაზავებდით კალმიკური ჩაით და ამავე დროს არც თუ ისე სახარბიელო იყო საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა. ეხლა კი ერთიც და მეორეც შეიცვალა...

ვინაიდან სხვებთან ერთად თქვენც ხელს უწყობდით ჩემს განთავისუფლებას და ვინაიდან თქვენი და მეხანოშინის წყალობით მე დავთანხმდი დავრჩენილიყავ ასტრახანში და მიმეღო 33 დივიზიის არტილერია, რომელსაც შემდეგ ეწოდა ყუბანის არტილერია, თქვენთვის არ იქნება ინტერეს მოკლებული იცოდეთ, როგორ მეკავა მე თავი და რით გავამართლე თქვენი ნდობა. არ ვიტრაბახებ, მარა გეტყვით, რომ უკანასკნელად ჩემი დივიზიის არტილერია იყო უფრო დიდი და უფრო მრისხანე, ვინემ არტილერია სხვა მთელი არმიებისა, მაგალითად მეცხრე არმიისა, სადაც ბატარეები იყო უფრო მცირე, ვინემ ჩემ დივიზიაში. მე არ მიმიღია ცენტრიდან არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი ცხენი და იარაღების სათადარიგო ნაწილები, მარა მაინც შევსძელი შექმნა 15 ბატარეიისა, ნაცვლათ იმ დომხალისა (барахла), რომელიც წამოვიღეთ ასტრახანიდან. მთავარი მომწოდებელი საარტილერიო ქონებისა იყო ჩემთვის „ამხანაგი დენიკინი“, რომელიც უხვად მიტოვებდა, როგორც არტილერიას, ისე ცხენებს. მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის ყველა ჩემს ბატარეებს მოუხდა კარტეჩით სროლა და რევოლვერებით თავის დაცვა, მარა „ამხ. დენიკინმა“ მაინც ჩემგან ვერც ერთი ზარბაზანი ვერ მიიღო. კადეტების პირველი ტანკი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დაამარცხა ქ. ლისკთან, იყო განადგურებული ჩემი არტილერიის მიერ. მრავალჯერ ჩემი არტილერია ალყა-შემორტყმული იყო და, სამწუხაროთ, როცა ქვეითი ჯარები (უმეტესათ ახლად გაწვეულები) ნებდებოდენ მტარს, მე ვრჩებოდი მარტო, მარა არტილერია მაინც უვნებლათ გამოდიოდა ბრძოლიდან. ერთხელ მე მომიხდა ბრძოლა მტრის 24 ბატარეიასთან (ქ. ბობროვთან, ლიპოვკიდან მეოთხე სოფელი), როცა თვით დენიკინის ხელმძღვანელობით ექვსჯერ გვეკვეთა იერიშით კავალერია, მაგრამ ჩვენმა დივიზიამ შეირჩინა პოზიციები, თუმც დიდი ზარალი ვნახეთ (ზოგიერთმა პოლკმა დაკარგეს 1000 კაცამდე მოკლული და დაჭრილები ერთ დღეში). ივნისის პირველ რიცხვებიდან მე მივიღე წარმატება და **ეხლა მეთერთმეტე არმიის არტილერიის ინსპექტორი ვარ, ასე რომ, ამხანაგო კიროვო, [illegible]**

# გენერალური შტაბის ცნობა

16 ივლისი.

13 ივლისს ჩვენი რაზმი გოდერძის უღელტეხილიდან ხულოსაკენ წავიდა. თვით უღელტეხილზე რაზმის უფროსს გენ. წულუკიძეს ზემო და ქვემო აჭარიდან 100 არჩეული საპატიო პირი შეხვდა პურ-მარილით. აქედან ამ ას არჩეულ პირთან ერთად რაზმი ხულოსკენ წავიდა. გზის ახლო მდებარე სოფელთა მცხოვრებნი სიხარულის ცრემლებით შეხვდენ ჯარს და აფიცრებს, რომელთაც ყვავილებს ესროდენ. 14 ივლისს საღამოთი რაზმი ხულოში შევიდა. მას შეეგება რამდენიმე ათასი კაცი ზემო და ქვემო აჭარიდან. მცხოვრებლებს ყველგან გამოაქვთ რეზოლიუციები დიდა—საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და მისი მთავრობისადმი ერთგულებისა.

ცა თქვენ გაიგონებთ საბჭოთა ზარბაზნის პირველ გრიალს, ამ სროლით მე თქვენ მოგესალმებით. მე ვლებულობდი მონაწილეობას ჩემი არტილერიით როსტოვის, ეკატერინოდარის და ნოვოროსისკის აღებაში, მაგრამ განსაკუთრებულ სიამოვნებას ვიგრძნობ როცა შეუდგებით თფილისის აღებას. მე ძალიან მინდა შემოვიდე ავტომობილით (ძველ ავტომობილით, ასტრახანელ ავტომობილით) სწორეთ იმ ქალაქში, სადაც მე, როგორც ძაღლების მიერ დევნილი მგელი, ყოველ საღამოს და ღამით ვბრუნდებოდი სახლში. მე მინდა ვუთხრა სხვადასხვა რამიშვილს, საბახტარიშვილს, გვაზავას, მესხიშვილს, გენერალ კონიევს და სხვა „სვოლოჩებს“: „ჩემო მეგობრებო, როცა თქვენ მიმიღეთ და გამძარცვეთ, როგორც ბალშევიკი, მე არ ვიყავი ასეთი, ეხლა კი მე რწმენით კომუნისტი ვარ და მოდით, მოვილაპარაკოთ თქვენ სიყვარულზე საბჭოთა რუსეთისადმი, რაზედაც თქვენ ხმა მაღლა ყვირით თქვენს გაზეთებში“.

მიიღეთ ჩემი რჩევა ამხანაგო კიროვო—არ ენდოთ ქართველებს, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ჩვენთან ხელი-ხელ ჩაკიდებული არასოდეს არ წამოვლიან. ქართველი თავადები და აზნაურები უბრძოლველათ არ დასტოვებენ თავიანთ პოზიციებს.

ჯერ კი გართმევთ ხელს. სხვათა შორის, ფულები, რომელიც მე გამოვგზავნე მეხანოშინის ხელით, ხოლო მას კი, ვგონებ, დაუვალებია ეს თქვენთვის, ჯერაც არ მიუღიათ. მე ოჯახზე ჯერაც არ მაქვს ცნობები, თუმც ამას წინეთ გამოვგზავნე ერთი ნაცნობი ქალი ფულებით. თუ შეიძლება გამიგეთ ოჯახის შესახებ: მიხეილის პროსპექტი, 53, ბინა 6. კ. სმირნსკაიას.

თქვენი ა. სმირნსკი.

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**მენშევიკები ყუბანში, ბალშევიკებს თუ დაეჯერება, კონტრ-რევოლიუციის დამხმარე ძალა ყოფილა!**

ყუბანის „კრასნოე ზნამიას“ მე-51 ნომერში (24 ივნისის) მოთავსებულია გ. ლადოხას წერილი, რომელიც ეხება რა პოლონეთის და ვრანგელის შემოტევებს, სხვათა შორის სწერს: „მუშათა კლასის მოღალატეები ეხმარებიან პოლონეთის თეთრ გვარდიელებს და ვრანგელს. ეკატერინოდარის მენშევიკებმა, რომლებიც დღევანდლამდე თავიანთ მოღალატურ მუშაობას ეწეოდენ ფარულად, ახლა აშკარად დაიწყეს გამოსვლები. პირველად მათ თავიანთი ძალღონე სცადეს 20 ივნისს ლითონზე მომუშავეთა კრებაზე. მათი გამოსვლა გამარჯვებით დამთავრდა. ირჩეოდა საბჭოთა მთავრობის სასურსათო და სატარიფო პოლიტიკა. რადგანაც კითხვა არ იყო სწორად დაყენებული, „სოციალიზმის ინდაურებმა“ გამარჯვება ადვილათ მოიპოვეს და ხმის უმეტესობით მიიღეს გოვლოვსკის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, რომელიც იუწყება: სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირ. საბჭოს სატარიფო პოლიტიკა ყუბანში არსებითად არ არის სწორი. ის მინიმუმი, რომელიც საჭირო არის არსებობისათვის, სრულიადაც არ შეეფერება არსებულ ჯამაგირს. ტარიფი სრულიადაც არ იღებს მხედველობაში ყუბანში არსებულ ეკონომიურ მდგომარეობას და იმ დროს, როდესაც აკლებს ტარიფს, ფასები სანოვაგეზე ძველივე რჩება“. წერილის ავტორი ეკამათება რა რეზოლიუციის ავტორს აღნიშნავს, რომ რეზოლიუციამ შეიძლება ბევრს აღუძრას ისეთი ფიქრები, თითქოს ცენტრალურ რუსეთში მუშები უკეთ ცხოვრობდენ, ვიდრე ყუბანში. მაგრამ ყველას ესმის, რომ ვინც ამას იტყვის, ის შეურაცხყოფს პიტერს, მოსკოვს და ივანოვო-ვოზნესენის მშიერ მუშებსო.

ამის შესახებ ამავე გაზეთში მოთავსებულია წერილი რედაქციის მიმართ, სადაც ავტორი იაკოვლევი აღნიშნავს, რომ ქარხანა დუას მუშები იმ კვირა დღეს, როდესაც მოხდა ლითონზე მომუშავეთა კრება, ქარხანაში მუშაობდენ და არ ჰქონდათ საშუალება დასწრებოდენ კრებას და ვერ მივიღეთ მონაწილეობა რეზოლიუციის კენჭის ყრაშიო. ჩვენ მთელის ჩვენის ძალღონით ვაცხადებთ პროტესტს იმ რეზოლიუციის გამო, რომელიც წარუდგინეს კრებას სოციალ-მოღალატე მენშევიკებმაო.

**„სოციალისტურ“ რუსეთში ბურჟუაზია ძველებურათ ყველა სიკეთით სარგებლობს.**

**ეკატერინოდარი.** (ბინის საკითხი) 17 ივნისს ეკატერინოდარის ბინის განყოფილების თანამშრომელთა კრება, სადაც გამოირკვა, რომ შეუძლებელი ხდება მშრომელთ მიეცეს კარგი ბინები რადგანაც, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე რუსეთის ყველა კუთხეებიდან გამოქცეული ბურჟუაზია ძველებურათ ყველა სიკეთით სარგებლობს. ბურჟუაზია საბჭოთა დაწესებულებაში მოეწყო და შეუძლებელი ხდება მათი ბინის მხრივ შევიწროება. ბინის განყოფილების თანამშრომლები მოითხოვენ ალაგმულ იქნენ ბურჟუები, რომელთა წყალობითაც თანამშრომლები მოკლებულნი არიან საშუალებას ნორმალურათ იმუშაონ. („კრასნოე ზნამია“ № 51.)

**ზედმეტი ფული. პიატიგორსკი.** ყველა მცხოვრებნი ვალდებული არიან, თუ მოეძებნებათ 10 ათასზე მეტი ფული, შეიტანონ მიმდინარე ანგარიშებზე ფინანსთა განყოფილებაში. ეს სავალდებულო დადგენილება სისრულეში მოყვანილ უნდა იქნას ორი კვირის განმავლობაში. ვინც არ შეასრულებს ამ დადგენილებას, გადაეცემა „ჩრეზვიჩაიკას“. („სოვეტსკი კავკაზ“ № 23).

**თუ მოტაცება?**

**საცვლების და სამეურნეო იარაღების მოკრება პიატიგორსკში.** რევკომმა დაადგინა შეკრიბოს წითელ არმიელებისთვის საცმელები, ბალიშები, საბნები, ზეწრები და სხვა ტანსაცმელი და აგრეთვე სამეურნეო იარარალები. სტანიცებში ამ საქმის მოგვარება დაეკისრა ადგილობრივ რევკომებს. პიატიგორსკში ამ მიზნისათვის დაარსებულ იქნა განსაკუთრებული კომისიები. დადგენილია, თუ მცხოვრებლები თავიანთი სურვილით არ მოიტანენ დაწესებულ ადგილებში ზემოხსენებულ საცვლებს და ნივთებს, მაშინ გამოცხადდება იძულებითი ჩამორთმევა ნივთების. („სოვეტსკი კავკაზ“ № 21).

**„პროფესიონალური კავშირის გაწმენდა.“** ჟელეზნოვოდსკის ბურჟუაზიამ მოახერხა გვერდში ატმასნებოდა საბჭოთა მთავრობასაც. პროფესიონალურ კავშირის წევრთა ხელ-ახალი აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ წევრთა ნახევარი თურმე იმიტომ ყოფილა ჩაწერილი კავშირში, რათა შეძლება მისცემოდათ მიეღოთ სურსათ-სანოვაგე მუშათა ულუფით. კავშირიდან გამორიცხულთა შორის არიან აგარაკების პატრონები, მმართველები და ასე გასინჯეთ, ერთი მღვდელიც კი მეუღლითურთ, რომელიც მუშათა ულუფას ღებულობდა. მაგრამ ამჟამად მთელი ეს ტალახი გადაყრილია რევოლიუციონური ცოცხის საშუალებით.

**„მილიციის გაწმენდა“.** ჟელეზნოვოდსკის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსმა სამსახურიდან დაითხოვა 12 პირი—მილიციონერები და მოსამსახურენი, როგორც არა საიმედონი და შემარცხვენელნი საბჭოთა მთავრობისა.

**„რევკომის გაწმენდა“.** ხდება დაპატიმრება და ალაგიდან დათხოვა ზოგიერთ პირებისა, რომლებიც ჟელეზნოვოდსკის „რევკომის“ სხვადასხვა განყოფილებებში მსახურებენ. („სოვეტს. კავკ.“, № 22).

კიდევ რაღა დარჩა „გასაწმენდი“? თვით საბჭოთა რუსეთი... კომუნისტებისაგან!..

# „წითელ“ აძერბეიჯანში

**როგორ მოეპყრენ ქართველ ტყვეებს.**

ბ-ნი ერმილე ხავთასი „სახალხო საქმეში“ განაგრძობს ბაქოში მიღებულ შთაბეჭდილების გადმოცემას და სხვათა შორის სწერს:

„ბაქოში ხმა გავარდა: ქართველმა ჯარისკაცებმა, 23 კაცმა, ფრონტი მიატოვეს, ბალშევიკების მხარეზე გადავიდენ, ბაქოში ჩამოუყვანიათ და აქ ქუჩა-ქუჩა ატარებენ ხალხის საჩვენებლათ —ვითომდა ნახეთ, ქართველების ჯარი რა დაფლეთილ ტანისამოსში არისო! რასაკვირველია, წყურვილი დამებადა გამეგო სინამდვილე; ხმები მართალი, ანუ თითქმის მართალი გამოდგა, ესეიგი, ჩვენი ჯარისკაცები მართლაც ტყვედ ჩავარდნილი ბალშევიკებს (რაც შეეხება მათგან ფრონტის მიტოვებას, ეს, რასაკვირველია, მტკნარი სიცრუე გამოდგა.)

შევუდექი მათ ძებნას და მალე გავიგე, რომ ქართველი ჯარისკაცები სამხედრო სატუსაღოში დაემწყვდიათ—მერკურიევის ქუჩაზე, ჩარკინულ ოთახებში.

ზოგი მათგანი გურულები იყვნენ, ზოგნიც კახელები, ქიზიყელები, იმერლები... ვეახელ სატუსაღოს კომისარსა და ვთხოვე ჩვენი ტყვეები ეჩვენებინა, თანაც ნება მიეცა ცოტაოდენი გროშები გადამეცა მათთვის.

შევედი ჩვენი ტყვე-სალდათების სანახავად; თუმცა ჩემი ეჭვები უკვე გაფანტული იყო შესახებ იმისა, რომ მათ თავის ნებით მიატოვეს ფრონტი და ბალშევიკებისკენ გადავიდნენო, მაგრამ მაინც შევუდექი გამოკითხვას სინამდვილეში დასარწმუნებლად.

— ბიჭებო, თქვენ აქ რა გინდათ, ამ რკინის ხლართიან ოთახებში? თქვენ ხომ ნებაყოფლობით გადმოსულხართ ბალშევიკურ ჯარის მხარეზე, თუ ეს მართალია, მაშ რაღაზე დაუტუსაღებიხართმეთქი?—შევეკითხე ჩვენს ტყვე ჯარისკაცებს.

— რასა ბრძანებთ, როგორ თუ ჩვენის ნებით გადმოვსულვართ მაგათ მხარეზეო?!—გაიკვირეს ჩვენმა ბიჭებმა,—ვინ გაავრცელა ასეთი საზიზღარი ჭორი? ვინაა, რომ თავისა გვერის სამშობლო ერის წინაშე?!

და შემდეგ ამიხსნეს, რომ ისინი დასაზვერავად წასულან მტრის პოზიციებისაკენ, როცა ბრძოლა მიწყნარებული ყოფილა: ერთბაშად მტრის დიდ ძალებს თავის წასწყდომიან, წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი ყოფილა და, ამნაირად, იძულებულნი გამხდარან ტყვედ ჩავარდნოდათ.

— ჩვენ ვიყავით 24 კაცი,—გვიამბეს შემდეგ ტყვეებმა:—მაგრამ გადავწყვიტეთ, ერთ-ერთი ჩვენგანი რამიმე მანქანებით გაგვქცეულიყავით და ჩვენი სარდლობისათვის გვეცნობებია საქმის ვითარება. ამ მიზნით ერთმა ჩვენგანმა მოახერხა კიდეც გზიდან უკან გაპარვა, მაგრამ არ ვიცით, სადარაჯოების რკალის გარღვევაც მოახერხა და ჩვენებს საჭირო ცნობები მიაწოდა, თუ არა.

შემდეგი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ბაქოში ჩამოყვანისთანავე ჩვენს ტყვე ჯარისკაცებს წითელ-არმიელებმა ტანზე და ფეხზე თურმე გახადეს და თვითონ ჩაიცვეს, ხოლო თავიანთ ძონძებში კი ესენი შემოსეს.

— ამ ძონძებში გამოწყობილებს, ფეხშიშველებს, დემონსტრატიულად გვატარებდნენ ქუჩებში,—აქაო-და ქარ ველების ჯარები ასე „მშვენიერად“ არიანო ჩაცმულნი... ქუჩებში გზა-გზა წითელარმიელებს აჩვენებდნენ ჩვენ თავსა: აი, ხედავთ, ქართველებს როგორი ჯარი ჰყავთ თქვენს წინააღმდეგ გამოწვეულიო!—გვიამბეს ტყვეებმა და ჩამოგვითვალეს ყველა ის საშინელი გასაჭირი, რაც მათ ამ ტყვეობაში თავს გარდახთოდათ. მოგვითხრეს ამასთანავე, რომ ბაქოში ჩამოსვლისთანავე მათთან მისულა ეგრედ-წოდებულ „1-ლ ქართულ წითელ პოლკის“ უფროსი ბ-ნი ბარამიძე (გურულია, ლანჩხუთელი, თუ სურებელი, კარგად აღარ მახსოვს), რომლის „ქართულ“ პოლკშიაც მხოლოდ 3 ოუ 4 კაცი ყოფილა ქართველი, დანარჩენები-კი—ჩინელებიდან დაწყებული ლატიშ-ყირგიზებით გათავებული, ბარამიძეს წინადადება მიეცა ამ ჩვენი ტყვეებისათვის მის „ქართულ“ პოლკში ჩაწერილიყვნენ, მაგრამ ვერავითარმა ვერც დაყვავება-დაპირებებმა, ვერც მუქარამ თურმე ჩვენს ბიჭებზე ვერ გასჭრა და არ იქნა, ვერ დაითანხმა—ჩვენებს ცივი უარი ეთქვათ. ბარამიძის შემდეგ, ჩვენებთან იმავე მიზნით თურმე მისულა კიდევ იმავე „1-ლ ქართულ წითელ პოლკის“ კომისარი ბ ნი მგალობლიშვილი და აგრეთვე ბ-ნი ფხაკაძე მაგრამ ესენიც უნაყოფოდ გარჯილან.

ამ ამბების მოსმენის შემდეგ მადლობა გამოუცხადე ჩვენს ტყვეებს, როგორც ერთმა ქართველმა კაცმა, სამხედრო ციხის კომისრის ნებართვით ცოტაოდენი სახარჯო გროშები დიუტოვე მათ და გამოვეთხოვე ამ სიტყვებით: ხვალ კიდევ გნახავთ—მეთქი, რამაც ტყვეებს რაღაც იმედიანობა დაუბადა.

მაგრამ, ჩემდა და მათდა სამწუხაროდ, მეორე დღეს რომ მივედი, ჩვენი ტყვეები იქ უკვე აღარ დამიხვდნენ: ციხის კომისარმა ამიხსნა—ისინი ნარგენის კუნძულზე გაჰგზავნესო. (ნაგრენის კუნძული კასპიის ზღვაზეა, 4—5 ვერსზე ბაქოდან და განთქმულია უამრავის გველებით).

იქ წასვლისა და მათი ნახვის ნებართვის მიღება კი ვერ მოვახერხე...

# მეჯლისის სალამი დამფუძნებელ კრებას

**ბათომი.** სამუსლიმანო საქართველოს სრულ უფლებიანი მეჯლისის პრეზიდიუმი გულწრფელ სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას და ულოცავს ბრწყინვალე გამარჯვებას. მეჯლისის პრეზიდიუმი აღტაცებას გამოსთქვამს, რომ მეჯლისის გასული წლის აგვისტოს სხდომაზე ღვთისა დი ქვეყნის წინაშე აღიარებული ჭეშმარიტებასამუსლიმანო საქართველოს დედა საქართველოსთან შეერთება—ფაქტად იქცა და მეჯლისის მუშაობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. პრეზიდიუმი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მეჯლისის დადგენილების მეორე მხარეც, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიურად მოწყობა, სულ ახლო მომავალში განხორციელდება. ფიცსა ვსდებთ, რომ ჩვენ მოძმე ქართველ ქრისტიანებთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას და არავის მივსცემთ ნებას მისი უფლების გათელვისას. გაუმარჯოს ისტორიულ საქართველოს.

მეჯლისის თავმჯდომარე **მამედ ბეგ აბაშიძე.**

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა ბათომში მეჯლისის თავმჯდომარეს მამედ ბეგ აბაშიძეს: „დამფუძნებელმა კრებამ ამა თვის 13 სხდომაზე ღრმა სიამოვნებით მოისმინა მეჯლისის პრეზიდიუმის მოლოცვა ბათომისა და მისი ოლქის დედა საქართველოსთან დაბრუნების გამო. დამფუძნებელი კრება გულწრფელი სიხარულით მიესალმება სამუსლიმანო საქართველოს მისი მეჯლისის სახით და ულოცავს მას, რომ აღსრულდა ქართველი ერის დიდი ხნის მისწრაფებანი და მისი ეროვნული სხეული, ისტორიული უკუღმართობით განკვეთილი, კვლავ გამთელდა. მას კტკიცედ სწამს, რომ ავტონომიურათ გაერთიანებული სამუსლიმანო საქართველო თავდადებით დაიცავს ამ მთლიანობას იმ ღრმა შეგნებით, რომ მხოლოდ ასეთ გაერთიანებულ საზღვრებში შეიძლება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და მისი კულტურის აღორძინება“.

# ბ ა თ ო მ ი

თანახმად რესპუბლიკის ჯარების მთავარ სარდლის განკარგულებისა გენერალი მდივანი დაინიშნა განსაკუთრებულ კომისრის თანაშემწეთ და ბათომის სიმაგრის კომენდანტათ. ამასთანავე ყველა ჯარები, რომლებიც ბათომის ოლქში იმყოფებიან, მის განკარგულებაში იქნება.

— თანახმად რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის განკარგულების, ყველა ბანკის კანტორები და ფულის გადასახურდავებელი დაწესებულებანი დაუყოვნებლივ უნდა დაიკეტოს, გადასახურდავებელ დაწესებულების გახსნა შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომს და ისიც ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

— მილიციის უფროსმა რაიონების კომისარს წინადადება მისცა, მის დაუკითხავათ არ მოახდინონ სახლების ჩხრეკა იარაღის ჩამოსართმევათ. გამონაკლისის დაშვება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 ივლისი.

**გერმანული ცნობები.**

**რუსეთი და პოლონეთი.**

(დასაწყისი არ მიგვიღია).. მიაყენებენ გერმანიას, რადგან არა მარტო ბალშევიკები, არამედ რუსეთის ყველა კლასი იღებს მონაწილეობას პოლონეთთან ბრძოლაში. რევენტლოვი იმ დასკვნამდე მიდის, რომ გერმანია ანტანტის მთავრობას უნდა შეეკითხოს მოემზადენ თუ არა ისინი უიარაღო გერმანიის დასაცავათ იმ საშიშროებისაგან, რომელიც მას ილმოსავლეთიდან მოელის.

**გერმანული პრესა და სპას კონფერენცია.**

გერმანიის პრესა უნუგეშოთ უცქერის სპის კონფერენციას, მაგრამ ეს უნუგეშობა ცოტათი გადაჭარბებულია. როგორი სერიოზულიც არ უნდა იყოს ნახშირის საკითხი, დაუჯერებელია, რომ ეს საკითხი იქნეს კონფერენციის მუშაობის შეწყვეტის მიზეზი. გერმანიის პრესა ხაზს უსვამს ფონ სიმონსის განცხადებას, რომელიც აღნიშნავს, რომ დამუშავებული ნახშირის რაოდენობა დამოკიდებულია არა მაღაროების მეპატრონეებზე, არამედ მუშებზე, რომლებსაც ცუდი საზრდოობის გამო არ შეუძლიათ კარგათ მუშაობა.

**გერმანული ცნობები.**

**გერმანიის წინადადებანი.**

დამოუკიდებელთა გაზეთი „ფრაიტაგი“ აღნიშნავს, რომ გერმანიის წინადადებები დამყარებულია მაღაროთა ყველა ორგანიზაციების განცხადებებზე მიუხედავათ პოლიტიკურ განსხვავებისა, რაც ერთს ძალიან არ სურს საფრანგეთის კაპიტალიზმის გაძლიერება თავისი ინტენსიური მუშაობით. სხვა გაზეთები მოითხოვენ, რომ დელეგატები არ შეუშინდენ ანტანტის მუქარას. თუ მათ აუცილებლად მიაჩნიათ კონფერენციის დატოვება, დეე გადადგან ეს ნაბიჯი. საფრანგეთის მუქარა, რომ იგი მიმართავს ფოშის ხმალს, სულ წინააღმდეგ გავლენას ახდენს გერმანიაზე, რადგან იგი ამით იძლევა იმის საბუთს, რომ არავითარი დათმობა გერმანიისა ხელს არ შეუშლის, რომ საფრანგეთმა დაიკავოს რურის ოლქი, თუ ფოშმა ეს დაჟინებით მოითხოვა.

# საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

16 ივლისი.

**ბერლინი.** ივლ. 2. „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება, რომ თავრიზში გერმანიის ელჩს თვით კი არ მოუკლავს თავი, არამედ—იგი მოჰკლეს. გერმანიის საელჩოს სახლზე სროლას ის უწოდებს პროვოკაციას და აღნიშნავს, რომ თავრიზში ინგლისთან შეთანხმების საწინააღმდეგო ძლიერი მიმდინარეობა არსებობს. გაზეთის ცნობით, გერმანიის საელჩოს შენობაში ადგილობრივი ბალშევიკები კი არ იყვნენ, არამედ ის პირნი, რომელთაც ბრალი ედებათ ოსმალეთის ნაციონალისტებთან ფარულ შეთანხმებაში. გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ შეილახა მხოლოდ სპარსეთის ინტერესებიო.

**ათინა.** ივლ. 5. საბერძნეთის ჯარმა მარმარილოს ზღვაზე კუნძული მარმარი დაიკავა. დროებითი გამგებლობა დაევალა ფრიკოსიის მიტროპოლიტს.

**კონსტანტინოპოლი.** ივლ. 5. ამ მოკლე დროში სმირნა-შაროლმოსის რკინის გზაზე ნორმალური მისვლა-მოსვლა დაიწყება.

**ათინა.** ივლ. 2. საბერძნეთის ინტელიგენციამ საბერძნეთის ხალხს მიმართა მანიფესტით, სადაც ის მოითხოვს მთავრობისაგან ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას და აღნიშნავს ვენიზელოსის მთავრობის გადადგომის აუცილებლობას ოსმალეთთან ამ მეხუთე ომის დასრულების შემდეგ და პარტიის გარეშე მდგომ საქმიან კაბინეტზე ძალა-უფლების გადაცემას. ამავე მანიფესტში აღნიშნულია საბერძნეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის მოსამზადებელი მუშაობის დაწყების საჭიროება.

**პარიზი.** „გაზეთი მატენი“ იუწყება, რომ საფრანგეთის რკინის გზებზე მომუშავეთა ჯგუფმა გადასწყვიტა რუსეთში მოაწყოს ფრანგ მუშათა კოლონია. ამ მიზნით მათ კრასინს მიმართეს. ამის საპასუხოთ კრასინმა აცნობა საფრანგეთის მუშების სინდიკატის მდივანს, რომ არსებითად მას არავითარი პასუხის მიცემა არ შეუძლიან, სანამ მოსკოვიდან არ მიიღებს საერთო პოლიტიკურ სახელმძღვანელო აზრებს. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა პოლიტიკური კურიერი უკვე გამოგზავნილია ლონდონისაკენო.

**კოპენჰაგენი.** ლიტვინოვი საბჭოთა მთავრობის სახელით კოპენჰაგენში მოლაპარაკებას განაგრძობს. შვეციის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი იქნება რუსეთთან სატელეგრაფო დამოკიდებულების განახლება ჩრდილოეთის დიდი კაბელის საშუალებით.

**კონსტანტინოპოლი.** თანახმად მიღებულ ცნობებისა ინგლისის სამხედრო გემები ზარბაზნებს უშენენ ნაციონალისტების პოზიციებს ტუზლაში. ბრიტანიის რაზმები იზმიდიდან ადა-ბაზარში გადავიდენ.

**პარიზი.** „მატენი“ იუწყება: რუსეთის საკითხის შესახებ დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ერნესტ ლაფონმა. ორატორმა განაცხადა, რომ ადრე თუ გვიან საფრანგეთი შეკრავს ზავს რუსეთთან არა იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა აღიაროს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით ამ მთავრობის არსებობა ფაქტად მივიღოთ. ამიტომ უმჯობესია ახლავე დავიწყოთ რუსეთთან მოლაპარაკება, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსკოვი იცნობს, ყველა თავის ვალდებულებას უცხო სახელმწიფოთა მიმართ. საფრანგეთმა, განაცხადა ორატორმა, უნდა მიაქციოს თავისი კაცთმოყვარული გული უბედურ რუსეთს, რომელიც შიმშილით სიკვდილის საშიშროებასა და საშინელ სანიტარულ მდგომარეობის წინ იმყოფება. ლაფონს უპასუხა მილიერანმა, მან აღნიშნა, რომ ყოველგვარი დიდსულოვნება რუსეთის მიმართ საბჭოთა მთავრობის უპულდგმულობის წინ იმსხვრევა. განა შეიძლება ავათმყოფ და მშიერ რუსეთის დახმარებაზე ლაპარაკი, როდესაც რუსეთმა უარყო ხალხთა ლიგის წინადადება რუსეთში სპეციალურ ომისიის გაგზავნის შესახებო.

# ახალი ამბები

**წყალდიდობა სამეგრელოში სადგური ხეთა.** 15 ივლისს დილის 11 საათზე შავი ზღვის მთელ ნაპირზე დიდი წვიმა დაიწყო, რომელიც საღამოს კოკისპირულ წვიმად გადაიქცა. ამიტომ რკინის გზა ახალსენაკის და ხეთას შორის 19 ვერსის მანძილზე გაფუჭებული აღმოჩნდა. საღამოს 6 ს. მისვლა-მოსვლა შესწყდა. წვიმა კიდევ გრძელდება. ზარალი დიდია. გზის აღსადგენათ ყველა ზომებია მიღებული.

◆ **პურის დამზადება თფილისისათვის.** თფილისისათვის პურის დამამზადებელი რწმუნებული იუწყება, რომ ბორჩალოს მაზრაში ხორბლეულობის დამზადებაში მონაწილეობას იღებენ კოოპერატივები, კერძო კონტრაგენტები და სამაზრო ერობაო. უკვე ვიძლევით ბეს პურზე. ხორბლეულობის ფასი გამოირკვევა მოსავლის შემდეგ. ფუთი ქერი 300—400 მანეთი ღირს. 25 ივლისიდან დაიწყება საწყობზე ქერის მიღება, თვის ბოლოდან კი დაიწყება ხორბლის მიღება.

◆ **საქართველოს ეროვნული გალერია.** ეროვნული გალერეის დირექტორი მხატვარი შევარდნაძე ამ ჟამად ათვალიერებს უცხოელთა და ადგილობრივ ხელოვანთა კერძო სამხატვრო გალერიებს, რათა ისინი ეროვნულ გალერეისათვის შეიძინოს. ყველა ჩამორთმეული სურათი გამოფენილ იქნება. ამ გამოფენაზე საგანგებო კომისია ჩამოართმევს მათ სურათებს ეროვ. გალერეისთვის. გამოფენისმოწყობას ფიქრობენ ენკენისთვეში, ეროვნული გალერეის გახსნა განზრახულია ყოფილ დიდების ტაძარში შობამდე. იმავ დროს იღებენ ზომებს ეროვნული მუზეუმის, ისტორიულ, ეტნოგრაფიულ და სხ. განყოფილებათა გასახსნელად.

◆ **ბათომის შეერთება საქართველოსთან.** ორშაბათს, 19 ივლისიდან სახალხო კინო-თეატრის ეკრანზე ნაჩვენები იქნება სურათი „ბათომის შეერთება საქართველოსთან“. სურათი გადაღებულია აკციონერულ საზოგ. „ფილმას“ მიერ და განსხვავდება სხვა გადაღებულ სურათებთან იმით, რომ ეს სურათი შესდგება 2 ნაწილიდან და ამ სურათში ნაჩვენებია ყველა უმთავრესი წუთები ისტორიულ აქტისა საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებიდან. მცირე შესავლის ფასი ესე იგი 20, 30, 40 მან აძლევს საშუალებას თფილისის დემოკრატიას ნახოს ის, რაც სხვა სინემატოგრაფებში შეეძლოთ ენახათ 50—75 მან.

◆ **ინვალიდების სასარგებლოთ** შაბათს, 17 ივლისს, სომხურ კლუბში გაიმართება გრანდიოზული საღამო—კაბარე, ღამის 1 საათამდის, რომლის შემოსავალი გადაიდება ინვალიდების საერთაშორისო კონგრესის მომწვევ-კომისიის სასარგებლოთ. საღამოს სიმპატიური მიზანი იმედია საზოგადოებას მრავლათ მიიზიდავს.

◆ **საბავშვო საღამო.** შაბათს, 17 ივლისს, სახალხო კინო-თეატრში (მადათოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ) გაიმართება მეორე საბავშვო საღამო ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით.

◆ **ეროვნული ჰიმნის შესრულება** რესტორანებში, ბაღებში და ამგვარ დროის გასატარებელ რაიონებში თფილისის კომენდანტმა აკრძალა.

◆ **იუსტიციის სამინისტროში სასწრაფო ზომებს იღებენ** ქ. ბათომში და ბათომის ოლქში სასამართლო დაწესებულებათა მოსაწყობად. ინგლისის საოკუპაციო მთავრობის მიერ დაწესებული სასამართლო, რომელიც რუსის მოხელეებისაგან შესდგებოდა, გაუქმებულია. ბათომის ოლქი დაექვემდებარა ქუთაისის ოლქის სასამართლოს. თხოვნები პროკურორის ამხანაგის, მომრიგებელ მოსამართლის და გამომძიებლის თანამდებობაზე განწესების შესახებ ბათომის ოლქში მიიღება სამინისტროს კანცელარიაში.

◆ **ბათომიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოგვდის მრავალი მოლოცვები სამუსლიმანო საქართველოს დედა სამშობლოსთან შეერთების გამო. სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატია აღფრთოვანებულია დედა-საქართველოსთან შეერთებით. სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატია დღეიდან ბედნიერია და ის თავის ღვიძლ ძმებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწევს ბრწყინვალე მომავლისაკენ. გაუმარჯოს სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს დემოკრატიის მთლიანობას! დამფუძნებელ კრების წევრი **ჰაიდარ აბაშიძე.**

◆ **ართვინიდან** მთავრობის თავმჯდომარემ და დეპ. ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა მიიღეს: „ართვინის ნაწილის 28 სოფლის მცხოვრებლების მიერ არჩეული წარმომადგენლები შეხვდნენ თქვენს წარმომადგენელს, დამფუძნებელი კრების წევრს, გიზო ანჯაფარიძეს, რომელიც 12 ივლისს ჩამოვიდა ართვინში. მცხოვრებლები ულოცავენ დედა-საქართველოს იმ დიდებულ ამბავს, როგორიც არის ბათომისა და მისი ოლქის საქართველოსთან შეერთების ფაქტი. მცხოვრებნი დიდათ მადლობელნი, გახარებული არიან იმით, რომ ოლქში წარმომადგენლათ დანიშნულია ისე პოპულიარული და პატივცემული მთელ სამუსლიმანო საქართველოში პიროვნება, როგორიც გიზო ანჯაფარიძეა. მცხოვრებნი იმედოვნებენ, რომ საქართველოს მთავრობა არ მოაშორებს ქართველ მუსლიმანებს ასე საყვარელ დამცველს, როგორიც იყო გ. ანჯაფარიძე რამდენიმე წლის განმავლობაში მშრომელი ხალხისათვის, რომელმაც რამდენი ტანჯვა-წვალება გადაიტანა და ბოლოს ეს ხალისით შესდგა ჭეშმარიტების ნათელ გზაზე. მუსტაფა ჩიმურ-ოღლი მუხამედ ალა ქერქაძე.

◆ **დეპუტატი აკ. ჩხენკელი** გუშინ საღამოს გაემგზავრა ქიათურაში, სადაც მას დღეს, 17 ივლისს ექნება საჯარო მოხსენება. კვირას, 18 ივლისს, ის გააკეთებს მოხსენებას დღით ზესტაფონში და საღამოს ქუთაისში.

◆ **დახმარება ერობებს.** 8 ივლისის მთავრობის სხდომაზე ერობებს შორის 100 მილ. ფონდის განაწილების საკითხი განიხილეს. მთავრობამ დაადგინა: 1) არსებული 100 მილ. ფონდი შემდეგ ერობებს შორის განაწილოს თფილისის ერობას 8 მილ. მანეთი, ბორჩალოს 6 მილ. გორის 9 მილ. მან., სიღნაღის 6 მილ. მან., თიანეთის 2,800,000 მან., თელავის 5 მილ. მან., დუშეთის 4,500,000 მანეთი, ქუთაისის 9,500,000 მან., შორაპანის 4,500,000 მან., რაჭის 2,500,000 მან., ლეჩხუმის 2,600,000 მან., სენაკის 6,000,000 მანეთი, ზუგდიდის 6 მილ. და 500,000 მანეთი, ოზურგეთის 6 მილ. 200.000 მანეთი, გუდაუთის 2,500,000 მანეთი, გუმისტანის 3,500,000 მანეთი, კოდორის 2.200.000 მან. სამურზაყანოს 3 მილ. მან. დანარჩენი 9.700.000 მან. კი შეინახება მომავალში ახალციხის და ახალქალაქის ერობების მისაცემად. 2) აღნიშნულ თანხების მიცემა მოხდება საერობო თვითმართველობის დადგენილების თანახმად უკვე მიღებულ ავანსების გამოკვლევით, მაგრამ იმ პირობით, რომ თვითმართველობის დადგენილება სამაზრო ყრილობის მიერ იქნეს დამტკიცებული.

◆ **გზათა ტეხნიკოსები.** გზათა დეპარტამენტისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან შემდგარ გამომცდელ კომისიამ გზათა ტეხნიკოსის ხარისხზე გიმოცდები უკვე დაასრულა; დაშვებულ იყო შვიდი კაცი, რომლებიდან გამოცდები დაიჭირა სამმა: ზაქ. კოშკაძემ, რომ. თოდრიამ და ვას. წიტაიშვილმა.

◆ **გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან** დაზარალებულთა სოჯის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაკო ხოფერიამ მთავრობის საგანგებო კომიტეტს გადასცა 136,822 მ. შეკრებილი ქ. სოჭაში და ს. ლაზარევკაში.

◆ **მომღერალთა გუნდის გამგზავრება ბათუმ-აჭარაში.** 22—23 ივლისიდან მიხეილ კავსაძის სახალხო გუნდი გაემგზავრება სამხედრო უწყების კულტურულ სექციის ხელმძღვანელობით ბათომში, სადაც ზეიმით შევა, შემდეგ იმოგზაურებს დასავლეთ საქართველოში, ყველგან შესრულდება ეროვნული ჰიმნი. შესრულდება აგრეთვე სოფლის ცხოვრებიდან ქართლ-კახური სიმღერებით სცენები, ბოლოს ფერხული და ცეკვა. გუნდს ჰყავს საკუთარი ზურნა და მიიღებენ მონაწილეობას კახელი მომღერლებიც.

◆ **საყმაწვილო ჟურნ. „ნაკადული“-ს** მორიგი ნუმრები მე-4 მოზრდილთათვის და მე-8 ბავშვთათვის გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს.

◆ **„ეშმაკის მათრახი“** № 34 გამოვა დღეს. ჟურნალში, სხვათა შორის, მოთავსებულია ეშმაკის წერილი: ჩვენს ბათუმში, კარიკატურები: კომუნიზმის მთესვარი, ჩრეზვიჩაიკაში, მესამე ინტერნაციონალის კერპი, Geci quod potui... და სხვ. ჟურნალი ამ ნომრიდან ღირს 15 მანეთი.

◆ **თფ. ცენტრალური სოციალურ საზოგადოების სასარგებლოდ.** კვირას, 18 ივლისს ალექსანდრეს ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით.

◆ **გერმანიიდან** მიღებულია წერილები ქვემო ხსენებულ პირთა სახელზედ. მსურველთ შეუძლიანთ მიღება კავკასიის-სპარსეთის საზოგადოების კანტორაში—სასახლის ქ. № 6, სახლი ერისთავისა, მესამე სართულში. თფილისში მცხოვრებთათვის შემდეგი წერილებია: 1) ვოლდემარ ტატიშვილს—(მალაკნის ქ. № 27), 2) ალექსანდრე მასხარაშვილს (ბარონის ქუჩა, № 15, საზოგადოება კოსმოსი), 3) ისაკი მურუსიძეს (კირპიჩნი შესახვევი № 16), 4) ნინა ბერეჟიანს (ვაკე, ბეჟანოვის სახლი). 5) მიხაკო წერეთელს ორი წერილი, 6) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტს, 7) ალექსანდრა გეორგობიანს 2 წერილი (ოლღას ქ. № 40), 8) წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიას, 9) ექიმ მორის გოლდშტეინს ნიკოლოზის ქ. № 32), 10) გიორგი გველესიანს (განოვის ქ. მანსვეტოვის სახლი), 11) გიორგი შაიშმელაშვილს, 2 წერილი (გუნიბის ტუპ. № 8), 12) ბიქტორ თევზაიას, 13) სოლომონ ვადაჭკორიას, 2 წერილი, 14) გრიგოლ ვებაცელიას, 15) მარიამ წერეთელს. ქუთაისში მცხოვრებთათვის: 1) სოლომონ ხუნდაძეს, 2) ნესტორ კაკაბაძეს, 3) ზაქარია მოროზოვს. ბათომში მცხოვრებთათვის: 1) საფრანგეთის სამხედრო მისიას, 2) დირექტორ ერნს, 3) ნინა ვარძელოვას—ვარძიელის ქალს.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ორშაბათს, 19 ივლისს, საღამოს 6 ს

ცენტრალურ ფოსტის დარბაზში დანიშნულია ფ.-ტ. და ტელეფონის ს.-დ. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. გასარჩევია სერიოზული კითხვები. კრებაზე წევრებს მხოლოდ პარტიული ბარათებით დაუშვებენ.

### პროვინციის ქრონიკა.

**ქუთაისი.** 21 ივლისს ქუთაისის მუშათა კლუბში, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქუთაისის მაზრის და ქალაქის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა წლიური საზოგადო კრება.

— კერძო მესაკუთრეთა საზაფხულო საძოვარი მთების სახელმწიფო ფონდში მიმღები კომისიის თავმჯდომარე რაჭის მაზრაში ვ. მ. მარუაშვილი აცნობებს, რომ კომისია, თანახმად მიწათ-მოქმედების მინისტრის მიერ 17 აგვისტოს 1918 წ. დამტკიცებულ ინსტრუქციისა, საძოვარი მთების მიღებას შეუდგება ადგილობრივ ამ თვის 28. დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ გაიგონ მის ბინაზე ქუთაისში (ივანოვის ქ. № 35), რა დროისთვის არის დანიშნული მათდამი კუთვნილი საძოვარი ადგილების ფონდში მიღება.

— 18 ივლისს, საღამოს, ქუთაისის მეოთხე ს.-დ. კოლექტივის ბინაზე (ქ. ლუღიძის მინდორთან, ვაჩაძის სახლებში). დანიშნულია ხსენებული კოლექტივის წევრთა კრება.

**ბორჯომში** ივლისის 19 იხსნება და დაიწყებს მუშაობას საქართველოს ცენტრალური ბანკის განყოფილება რომლის გამგეთ მიწვეულია პავლე უზნაძე.

**ბათომის** ქართული გიმნაზია დაამთავრა 26 კაციდან 24-მა. ესენი არიან: ასათიანი კ., გოგვაძე ნ., გვაჯავა ი., დიასამიძე ი., ქურული გ., ინასარიძე შ., კაკაბაძე ვ., კალაიჯევი თ., მანჯგალაძე ვ., მენაბდე მ., მღებრიშვილი ნ., ლომაძე ი., თათარეშვილი ტ., თოთიბაძე შ., თოდუა თ., ქუთათელაძე ნ., ნოდია ო., ცინცაძე მ., ღლონტი ნ., სესიაშვილი ს., ჩხიკვაძე თ. ჩხიკვაძე დ., შარაშიძე ვ. შოშიტაიშვილი ნ. ექსტერნათ 8 კლასის კურსი ჩააბარა ს. გოგეშვილმა და პ. ფირცხალაიშვილმა.

## ვ. წულაძის წერილის გამო

ვ. წულაძე „ახალ სხივს" ეკამათება პარტიულ ყრილობაზე მომხდარ ფაქტების გამო და არსებითად—კი ხან მარცხნით და ხან მარჯვენით ატრიალებს ჩემ პიროვნებას...

მე გავაცხადე ყრილობაზე, რომ როგორც „კოსმოსის" იურისკონსულტი მთავრობის საწინააღმდეგოთ მე არსად გამოვსულვარ-თქო, მე ვძლევდი დასკვნას ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

ვ. წულაძე აქ ვითომ სიყალბეში მიჭერს და სწერს: „გიორგაძე იღებდა მონაწილეობას „კოსმოსის" და მომარაგების სამინისტროსთან არსებულ მოლაპარაკებაში, ვითარცა წარმომადგენელი „კომისიისა" და ამ მიზნით ის რამდენჯერმე იყო აღნიშნულ სამინისტროში".

ვ. წულაძემ, უეჭველია, არ იცის რაშია საქმე. მე ვაცხადებ: არავითარ მონაწილეობას იმ კომერციულ საქმეებში, რომელიც ფირმას ჰქონდა მომარაგების სამინისტროსთან, მე არ ვერეოდი. კომერციული მოლაპარაკება და შეთანხმება ეს ფირმის წარმომადგენელის და მომარაგ. მინისტრის საქმე იყო.

იყო შემთხვევა, როდესაც ძირითადი ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულება უნდა დაედვათ ერთი მეორეში ფირმას და სამინისტროს. მათ მოილაპარაკეს, შეთანხმდენ და ამის შემდეგ, რომ ეს შეთანხმება იურიდიულ ფორმაში ჩამოსხმულიყო ისე, როგორც ეს სურდა ერთ და მეორე მხარესაც, შევიკრიბეთ მე, როგორც ფირმის იურისკონსულტი, ნაფ. ვექილები: ს. ჯაფარიძე, ნ. ელიავა და როზენბერგი ამ მიზნისათვის მინისტრის კაბინეტში. როზენბერგმა დასწერა დამატებითი ხელშეკრულება, მაგრამ არ მოეწონათ. მიანდვეს ს. ჯაფარიძეს; მან დასწერა; იმავე დღეს საღამოს განვიხილეთ და მივიღეთ. ეს იყო კარგი ხანია.

ამ ბოლო დროს იყო კიდევ შემდეგი შემთხვევა: ფირმამ და სამინისტრომ გადასწყვიტეს მოეხდინათ სრული ლიკვიდაცია ერთი-მეორესთან დამოკიდებულებისა. ჰქონდათ მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებისათვის ფირმამ აიყვანა ვექილათ ნაფ. ვექილი მანდელშტამი. ამ მოლაპარაკებას აწარმოებდა მანდელშტამი, შეთანხმდენ. შეთანხმების პირობაც გამოიმუშავა ს. ჯაფარიძემ, მე არავითარი მონაწილეობა ამ გამომუშავებაში არც არსებითად, არც ფორმალურათ არ მიმიღია; ხოლო როდესაც ტექსტი შეთანხმებისა საბოლოოთ გამომუშავებული იყო,—წავიკითხეთ მე, ს. ჯაფარიძემ და მანდელშტამმა და ვსცანით, რომ ორივე მხარის სურვილი, შეთანხმება იქ გამოხატული იყო.

თუ გარეშე ამ შემთხვევებისა მე მქონდა გ. ერაძესთან რაიმე ლაპარაკი ფირმისა და სამინისტროს დამოკიდებულების შესახებ, ჰკითხეთ გ. ერაძეს, ის გეტყვით, თუ როგორის შეხედულებისა ვიყავი ამ დამოკიდებულების შესახებ და ვცილდებოდი მე სახელმწიფოებრივ ნიადაგს თუ არა.

ჩემი მოქმედება ხომ უბრალო რჩევის, დასკვნის ფარგლებს არ გასცილებია არავითარ შემთხვევაში; ეს მე ყრილობას ვუთხარი თქვენ „კიჟინზე", როგორც თქვენ სწერთ!

მაშ რათ დაგიჭირდათ ასეთი „ბრალდების" წამოყენება, ერთი წერილზე მეორე წერილის გამოცხობა, ჩემი პიროვნების გარშემო ტრიალი, როდესაც ამ საკითხების შესახებ დიდი ხანია მე თითონვე მივეცი სავსებით დამაკმაყოფილებელი განმარტება ფრაქციის ბიუროს და ბიურომ კი ეს აცნობა ცეკას?

**გ. გიორგაძე.**

P. S. ვ. წულაძის წერილში (იხილე „ერთობა" № 154) შემდეგი ადგილი არის: „რა გინდ „ძველი" (ნაგულისხმები ვარ მე) მომუშავენი არ სჩადიოდნენ ასეთ საქმეს". ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგ კითხვას: ფრჩხილები, რომელშიაც ჩასმულია სიტყვა ძველი, ეს ვ. წულაძის ატესტაციაა, თუ რედაქცია, როგორც ორგანო ცეკასი, იზიარებს ამ შეხედულებას და ამიტომ ადგილს უთმობს ასეთ დებულებას „ერთობის" ფურცლებზე? ვთხოვ რედაქციას განმიმარტოს ეს კითხვა. **გრ. გ—ძე.**

**რედაქციისაგან:** რედაქციამ დასტოვა სიტყვა „ძველი" ბრჭყალებში იმიტომ, რომ მასში გულისხმობდა „ახალი სხივის" **მხოლოდ** ერთ-ერთ სიტყვას, მოყვანილს ამხ. ვ. წულაძის წერილში ისე, როგორც ჩვეულებრივათ სხვისი აზრები ან სიტყვები ამა თუ იმ ავტორს მოჰყავს ხოლმე ბრჭყალებში.

## ლავროსის ხსოვნას

(ოჯახური მოგონებანი).

„ლავროსი გარდაიცვალა"—აი ორი სიტყვა, რომელიც დეპეშამ მაცნობა სადღესასწაულოთ მორთულ ოზურგეთში.

შავმა საფლავმა ჩანთქა ჩვენი ბევრი საუკეთესო ამხანაგები, ნაწამებნი, ეკლის გვირგვინით მოსილნი, შეუბრალებლათ მოსწყვიტა მათი სიცოცხლე.

ამ უდროოთ მოწყვეტილ ვარსკვლავთა გუნდს სამარადისოთ შეუერთა ავათმყოფობისაგან საშინელათ დატანჯული ლავროც.

იგი აღარა გვყავს...

მაგონდება ჩვენი პატარაობა, როდესაც მამა ან-ბანს გვასწავლიდა.

მაგონდება ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელიც მისი ტიპიური მასწავლებლებით.

თვალ-წინ მიდგია ჩვენი სიღარიბე, როცა თოვლ-ჭყაპში დაცვეთილი წუღებით, ცახცახით მივდიოდით სასწავლებელში.

თვალ-წინ მიდგია ჩვენი უბედური მამა. რომელიც ათასჯერ კინაღამ შეიწირა წყალმა, რომ ჩვენთვის დროზე მჭადი მოეტანა.

მოუშორებლათ სდგას ჩემს წინ განაწამები დედის სურათი, რომელიც ჩვენი სკოლაში გამგზავრებისას ცრემლებს ვერ იმაგრებდა, სტიროდა..

მაგონდება ჩვენი გორაკი მთვარიან ღამეში მისი მომჯადოებელ-მომხიბლავი სანახაობით, როცა მთელი ოჯახი ჩამოვსხდებოდით ჩვენი დიდ პანტას ქვეშ და ჩვენი წკრიალა სიმღერა ეხმატკბილებოდა ბუნების სიდიადეს...

თვალ-წინ მიდგას სათვალეებით შეიარაღებული მამა, რომელიც გულ-დასმით გვიკითხავდა ნინოშვილის ნაწერებს.

მახსოვს მის თვალებზე ცრემლი... დასტიროდა კაცია მუნჯაძეს, შენატროდა სიმონას ვაჟ-კაცობას და ვინ იცის რა სურათები იხატებოდა მისი გონების სიღრმეში.

„ბედნიერია", შენატროდენ მამას სწავლის მძებნელნი.

„უფრო სჯობია ყანაში ამუშაოსო", დაცინვით ამბობდნენ სხვები.

მამას ასეთები მტრათ მიაჩნდა.

სიღარიბეში ვიკაფავდით გზას.

მამის იმედები მართლდებოდა, მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვა გზა გვიჩვენა.

განა ჩვენს წრეში აღზრდილი შეურიგდებოდა ბოროტებას.

მახსოვს მოძრაობის პირველი ხანები.. სადღაც ხევ-ხუვში იკრიბებოდნენ დაღლილი გლეხები და იქ მათ ვურკვევდით მოძრაობის დედა-აზრს.

ჩვენ უკვე პარტიულ მუშაობაში ვიყავით გართული.

რამდენი იმედი, ბედნიერების პერსპექტივები გვეხატებოდა თვალ-წინ... და იმ დროს, როცა ფრთა უნდა გაგვეშალა, სემინარიიდან ლავროსის ცივ-ციმბირში უკრეს თავი.

ბედმა თითქოს გაიღიმა. რევოლიუციამ დაამსხვრია ბორკილები და ლავროც დაბრუნდა საქართველოში.

რვა წელი ციმბირში!

ვინ იცის, რამდენი ტანჯვა-დაცინვა, შიმშილი გამოსცადა ლავრომ.

ეხლაც მაქვს წერილი, სადაც მწერდა, რომ აქ მეჯინიბეთ დაუდექი ვიღაცა გლეხს, ეს უკანასკნელი კი დამცინის, რომ ცხენების მოვლა არ ვიცი, შეიძლება ადგილიდანაც დამითხოვოსო.

დაბრუნდა ციმბირიდან დაავათმყოფებული და ძლიერ დასუსტებული.

მიუხედავათ ამისა, ის ჩაება მუშაობაში და განა შეეძლო ვისმე არ ემუშავა ასეთ დიდებულ დროს?

იქნა არჩეული დამფუძნებელი კრების წევრათ. მძიმე ავათმყოფობამ შებოჭა ის, არ დააცალა მუშაობა... რა ნაღველით იგონებდა ამას იგი... ბედმა სტანჯა და სიცოცხლეც მოუსპო... არარაობათ უქცია მას განზრახვები... სიცოცხლის მაგიერ,—სიკვდილი... გერმანიის უნივერსიტეტის მაგიერ—კუბო. ვინ იცის, ძმაო, რა მწარე ფიქრებით, რა ტანჯვით ჩადი საფლავში!

მაპატიე, რომ უკანასკნელ წამს არ ვიყავი შენთან.

ცრემლს ვერ ვიკავებ. არ ვიცი რომელი გიტირო, ძმა-ამხანაგი, მასწავლებელი, თუ ტანჯვით მოსილი რევოლიუციონერი!..

დაიძინე, ჩემო უდროვოდ დაკარგულო იმედო, შეგიმსუბუქდეს, როგორც ბუმბული, სამშობლოს მიწა!..

**შენი კოლია.**

**ფოთი.** გული დაგვისერა ძველი პარტიული მუშაკის, ძვირფას ხელმძღვანელის და დამფუძნებელ კრების წევრის ლავროსი კილურაძის უდროოვოდ სიცოცხლის დაფერფვლამ.

ფოთის სოციალ-დემოკრატიული **კომიტეტი.**

**ახალი გაგრა.** ცრემლით აღსავსე, დამწუხრებული გულით გამოვსთქვამთ ჩვენს გლოვას ძვირფასი ამხანაგის, დაუღალავი რევოლიუციონერის ლავროსი კილურაძის უდროოვოდ დაკარგვის გამო.

გაგრის სოც.-დემოკრატიული **კომიტეტი.**

**ფოთი.** ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ლავროსი კილურაძის უდროვო სიკვდილით გამოწვეულ საერთო გლოვას. წარუშლელია მისი ღვაწლი ქალაქის თვითმართველობის წინაშე, როგორც ხმოსნისა და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისა.

**ფოთის ქალაქის თვითმართველობა.**

**ფოთი.** დამფ. კრების წევრის ლავროსი კილურაძის უდროვო სიკვდილმა გული მოგვიკლა. დაუფასებელია საყვარელ ლავროსის ღვაწლი ფოთის მუშების წინაშე. სამარადისოთ დაუვიწყარია მისი ხსოვნა.

ფოთის მუშათა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ჟღენტი.**

**ასკანა.** (გურია) კოლექტივი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ლავროსი კილურაძის გარდაცვალების გამო.

**ასკანის კოლექტივი.**

**ფოთის** გვარდიელები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას ამხანაგის ლავროსი კილურაძის უდროვოთ გარდაცვალების გამო. **შარაშიძე, ვ. პაიჭაძე.**

## ნეკროლოგი.

ვაკის (მუხიანის) რაიონში გარდაცვლილ ამხანაგების ხსოვნას.

1907 წლიდან ზემოხსენებულ რაიონში მომუშავე ამხანაგებს სხვადასხვა დროს დღემდე გამოაკლდა ერმილე და ნიკიფორე კეკულაძეები, ყარავან და ერისტო ციბაძეები, არსენ ნიქაბაძე, იოსებ გერსამია, ერისტო ჯაოხაძე, მაქსიმე იორდანესძე სვანაძე, ილარიონ ბაბუნაშვილი და ილიკო ბერაია.

ყველა ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რეაქციის დროს პარტიულ და კულტურულ მუშაობაში და 1917 წ. კი ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში. მათი სიკვდილით რაიონში პარტიულსა და სხვა მუშაობას დიდი ზარალი მოუვიდა, რადგან აქ ისედაც მომუშავეთა მცირე რიცხვი გვყავდა.

მათი ხსოვნის აღსანიშნავათ 17 ივლისს მუხიანსა და ფარცხანაყანევში და 18 ივლისს საყულიასა და ოფშკვითში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რომელზედაც იმედია, ყველა ამხანაგ-მეგობრები და ნათესავ-ნაცნობები დაგვესწრებიან და მით პატივ სცემენ მათ ხსოვნას!

განისვენეთ, ამხანაგებო მშვიდათ. თქვენი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ამხანაგ-მეგობრებში და საერთოდ რაიონის დემოკრატიულ წრეებში.

**ს. სხივიშვილი.**

## მოკლე შენიშვნები

ჩვენში გაჩნდა ახალი „ჩამომრები":

— ბანკობია!

თფილისი გაივსო ბანკებით!

როგორც წვიმის შემდეგ მინდორი სოკოებით! ბანკების დაარსებაზე ოცნებობენ ყველანი: „ყმაწვილი" ერობა, „ბებერი" ქალაქთა კავშირი, ძველი თფილისი, კოოპერატივები, სპეკულიანტები...

„ჩამომრებით გატაცებას საზღვარი არ უჩანს! სპეკულიანტებმა ოცნება სინამდვილეთ აქციეს.

„ჭკვიანი" ხალხია და „პრაქტიკული საქმეების" მოგვარება ეხერხებათ! დღემდე დედაქალაქში „მუშაობდნენ": თფილისის ვაჭართა ბანკი, კავკასიის ბანკი, ამიერ-კავკასიის ბანკი, იტალიის ბანკი, დონისა და აზოვის, ვოლგისა და კამის...

ეხლა გაზეთები გადმოგვცემენ:

— დაარსდა „ცენტრო-ბანკი"!

ქართველი ახალგაზრდა ბურჟუაზიის „მოსალონიერებლათ და წელში გასამაგრებლათ"!

მან ორგანიულათ უნდა შეაერთოს საქართველოს კერძო ბანკები და მისცეს მათ მუშაობას „ფართე ასპარეზი"!

„ჩქარი" ერობა და დინჯი ქალაქთა კავშირი ერთმანეთს ებუტებიან.

ახალგაზრდობა „სახიფათო საქმეა".

ერობას უნდა საკუთარი ბანკი.

ქალაქთა კავშირი, გამოცდილებით, ცხოვრების გაკვეთილებით დაყურსული ურჩობს, რადგან მისი რწმენით საკმარისია ერთი ბანკი.

გუშინ გავიგე ახალი ამბავი.

ერთ უსაქმო თავადის „სალონში" დიდი ბჭობა ყოფილა, გადაუწყვეტიათ გახსნან—„საქართველოს ახალი ბანკი" რა მიმზიდველი სახელი ექნება.

კოოპერაციაც განზე გამდგარა.

მას უკვე მოუხდენია ყრილობა, აურჩევია ბანკის დირექტორები, გადაუდვია მათთვის ჯამაგირები, ასე რომ ამ დღეებში ამუშავდება—„კოოპერატიული ბანკი"!

ამნაირათ, ჩვენ გვექნება ბანკების ორი ოჯახი.

პირველი—საზოგადო ბანკები.

აქ თავს მოიყრიან ხალხის ინტერესების დამცველნი.

და მეორე—კერძო ბანკები.

აქ გაბატონებულან სპეკულიანტები, რომლებიც წამდაუწუმ გაიძახიან: ჩვენ ვართ ქვეყნის მალამო.

აქვს ფასი ამ განცხადებას?

* * *

ეკონომიური ცხოვრების კონტრასტები გაიზარდა. უმაღლეს წერტილზე ავიდა. მისი საშინელი და აღმაშფოთებელი შინაარსი ყველასათვის აშკარა გახდა. დღემდე კი ხალხის უმრავლესობა ამას ვერ ხედავდა, ვერ ამჩნევდა. რატომ? იმიტომ რომ ცხოვრების კონტრასტები არ იყვნენ ასეთ აშკარა სინამდვილეში გამოფენილი და გამომზეურებული.

იყვნენ ბურჟუები და პროლეტარები. მჩაგვრელები და ჩაგრულები, მდიდრები და ღარიბები.

სიღარიბე შავბნელ და ნესტიან სარდაფებში, ჩუმათ და საზოგადოებისათვის შეუმჩნევლათ საუკუნოთ ხურავდა „სიცოცხლის წიგნს"!

ბურჟუა სწოვდა ხალხის სისხლს, ითვისებდა მუშის ძალას, მის სიცოცხლეს თანდათანობით.

დღეს საზღაპროთ გაადვილდა გამდიდრება. ერთი „მოხერხებული კომბინაციით" ერთ თვეში, ერთ დღეში და ერთ საათში იპადებიან—„მილიონჩიკები".

ჩვენს გარდამავალ ხანაში უეცარი არის გამდიდრება და დაკანონებულია მასის გაღატაკება.

წინეთ კაპიტალისტები მუშებზე „ზრუნავდნენ" და აძლევდნენ მათ ხელფასათ სწორედ იმდენს, რამდენიც საჭირო იყო, რომ მუშაშიმშილით არ მომკვდარიყო და კვლავ დაეწიწა ძარღვები ქარხნის მაგიდაზე ზედმეტი ღირებულების შესაქმნელათ.

სპეკულიაციის ხანა წარმოების ნანგრევების ღვიძლი შვილი არის, ნგრევის მემკვიდრე.

და მას ასეთი „კეთილი გული" არ მოეთხოვება! სპეკულიანტმა არ იცის მუშის ღირებულება! ის არ ფიქრობს მის „სასიცოცხლო მინიმუმზე"! სპეკულიანტმა იცის ერთად ერთი, საიმედო და ნაღდი წყარო „ბედნიერებისა"—ხალხის დამშევა და გაწვალება.

შიმშილის ღმერთი უმოწყალოთ სცელავს ღარიბთა სიცოცხლეს და სისხლით გამძღარი ტკბილათ უღიმის სპეკულიანტებს.

ეკონომიური სასწაულების ხანა დაგვიდგა. ფირმის კომივოიაჟერი, რომელსაც წინეთ პოლიტიკურ-ეკონომიის ენით, წარმოებაში არავითარი ადგილი არ ეჭირა, ის, ასე ვთქვათ, ხორცმეტი იყო, დღეს ხალხისათვის უსაჭიროეს საქონლებით დატვირთული რამდენიმე გემის პატრონია. მისდგომია ქვეყანას და „ხალხის დახმარების" სახით ქვეყნის სიმდიდრის ამოწურვას ეპირება.

ჩვენ თვალწინ სულ მოკლე ხანში მდიდრდება ერთი ჯგუფი.

ასეთივე სისწრაფით ღატაკდებიან და სიღარიბეში იღუპებიან ათასები და ათი-ათასები.

უსირცხვილო განცხრომის სიცილხარხაოი გათამამდა, ქუჩაში გამოიჭრა და უტიფრად ცდილობს ხალხის ძარღვების აშლას!

პატიოსანი მშრომელის მძიმე ეკონომიური უღელი გართულდა, კიდევ უფრო დამძიმდა და ნამდვილი სიღატაკე კარზე მოგვდგომია.

მძიმეა კონტრასტები ცხოვრების!

დამაფიქრებელია ცხოვრების სინამდვილე!

რომელსაც კიდევ უფრო აღრმავებს, ამძიმებს და აძნელებს ეს სიტყვით გამბედნიერებლები, საქმით კი გამტყავებლები—კერძო ბანკები!

* * *

წარსულში ბანკები კაპიტალისტების ხელში იყვნენ.

მაგრამ მათ მაინც დიდი საქმე აქვთ გაკეთებული. ბანკები მაშინ პირველად ხელს უწყობდნენ—საქონლის დამუშავებას, წარმოების მოწყობას. აჩქარებდენ და ადვილებდნენ საქონლის ტრიალს, ტრანსპორტს, აღებ-მიცემას და საერთოდ ხელს უწყობდნენ ეკონომიურ ცხოვრების წინსვლას.

უფრო მოკლეთ განვმარტოთ: აჩქარებდნენ ეკონომიურ განვითარების პროცესს. ეს მართალია. მაგრამ ეს იყო წინეთ, მშვიდობიანობის დროს. რა ნაირ სამსახურს უწევენ ისინი ქვეყანას დღეს, ომისა და რევოლიუციის შემდეგ? —აჩქარებენ ხალხის გაღატაკების პროცესს! ესეც უდავო ჭეშმარიტება არის! და ასე ხდება სწორედ ჩვენს დროში.

გარდამავალი ხანის უძლიერესი ფაქტორის გავლენით.

სპეკულიაციის ბრძანებით!

დღევანდელმა ბანკებმა არ იციან რა არის წარმოების მოწყობა.

არ იციან და არც სურთ იცოდენ საქონლის დამზადება.

ეხლა არის მხოლოდ სავაჭრო ბანკები.

ცხადია, რა პირობებმა წარმოშვეს ასეთი მდგომარეობა.

მყვლეფელთა კლასშიც არის ერთგვარი „ზნეობრივი" დიფერენციაცია!

წვრილი ვაჭარი მოტყუილებას როდი ერიდება და არც გაწითლდება. ეს მისი პროფესიონალური საქმეა.

დიდ ვაჭარს ეძნელება გაწითლება. ის უფრო დიპლომატიურათ იქცევა. როდესაც მისი თანხა ასი ათასებზე ავა, ის „ინტელიგენტობას" ჩემულობს. საზოგადო მოღვაწეთ მოაქვს თავი! სულით და ხორცით კი ნამდვილი ვაჭრუკანა არის. ჯგუფი ასეთ „მოღვაწეებისა" მოქმედებენ ბანკების კულისებში, მათ ბნელ კაბინეტებში.

თფილისში არის ასობით ისეთი პირები, რომლებიც მილიარდობით ვაჭრობენ და სავაჭრო პატენტი კი არც ერთს არ მოეპოვებათ.

ელვის სისწრაფით იზრდება მათი კაპიტალი, გაღატაკებული ხალხის ცრემლები საფუძვლათ უდევს მათ ბედნიერებას, თითონ კი სხვადასხვა საზოგადო საქმეებზე წამოჭიმულან და ქვეყნის მოამაგეებათ მოაქვთ თავი.

მათ „საქმეს" ბანკი აკეთებს.

ჩუმათ, შეუმჩნევლათ ყიდულობენ და ჰყიდიან კომისიონერები, გაუხმაურებლათ უწერენ ბანკები ხელს „გარანტიებზე" და საჭირო აღარ არის არც „პატენტი", საქალაქო გადასახადი და არც ფართო საზოგადოების თვალში მოსჩანს ეს ნამდვილი წურბელა, ეს გამოჭახრაკებული ვაჭარი კაცი.

რაშია საიდუმლოება? როგორ ხდება ამ „კონსპირაციის" დაცვა, ამ საიდუმლო ყვლეფის მიფუჩეჩება და სპეკულიანტის საზოგადო მოღვაწეთ გასაღება? ბანკის ოპერაციებით, მათი ავტორიტეტით! ეს არის დღევანდელი „ბანკების" „მოღვაწეობის", „ალვა და ომეგა", მთელი მათი შინაარსი.

* * *

ბანკები მხოლოდ ვაჭრობენ...

„ქვეყანა, სადაც ვაჭრობა სჭარბობს წარმოებას, დაღუპვის გზაზეა".

ეს სიტყვები გავიგონეთ ჩვენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს, უზენაეს დაწესებულებაში დამფუძნებელ კრებაში.

ეკონომიურ აღორძინებისათვის საჭიროა ვაჭრობაც, მაგრამ უფრო აუცილებელია საქონლის დამზადება. წარმოების გაჩაღება. მარტო ვაჭრობა იწვევს მარაგის გაფლანგვას. წარმოების გაჩაღება იწვევს საქონლის დამზადებას ეს ორი მხარე ეკონომიური ცხოვრებისა პარალელურ გზაზე უნდა მიდიოდენ.

ამას მოითხოვს განვითარების კანონი კერძო ბანკები კი დღეს ხელს უწყობს უმთავრესად ვაჭრობას. ე. ი. დამზადებულ საქონლის ფლანგვა-დახარჯვას. შინ, ჩვენს ქვეყანაში, თუ გარეთ, უცხოეთში სულ ერთი არის, აქაც და იქაც ხალხი იტანჯება და იჩაგრება.

ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ ფინანსიური პოლიტიკა ისახავდა და ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს:—ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. ჩააყენოს კაპიტალი და მწარმოებელი თავისუფალ პირობებში, რომ მათ შეიძლონ წარმოების გაჩაღება...

ამისთვის შეწირულია მრავალი მსხვერპლი. შეიძლება ერთგვარათ სწორედ ამან წარმოშვა ჩვენი საპარლამენტო „ოპოზიცია"-ც, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების სასაცილო შარჟი და კარიკატურა.

„კომუნისტები„ „მეურნედან"!

ეს პოლიტიკა საყვედურს იწვევდა მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც.

დღემდე ეს იყო ერთად ერთი პოლიტიკა. ეხლა კი დადგა დრო მისი გადათვალიერების, აწონ-დაწონის და გადასინჯვის.

მწარმოებლებმა, კაპიტალის მქონე პირებმა სახელმწიფოს იმედი ვერ გაამართლეს.

დინჯ ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელიც მათაც ჰპირდებოდა მ-გებას და საქონელს ადგილობრივ ბაზარისთვის დაამზადებდა, ნამდვილ საზოგადოებრივ მუშაობას მათ ამჯობინეს დევიზი:—ჩაიჯიბო დღეს!

მხოლოდ დღეს რაც შეიძლება მეტი! და მოჰფინეს ქალაქი სავაჭრო ბანკების ქსელით.

ხალხის წინამძღოლმა ერთ თავის სიტყვაში ეკონომიურ პროგრამის შესახებ სთქვა:

— „დღეს მსოფლიოში გაბატონებულია მხოლოდ სასპეკულიაციო, კაპიტალი და კაპიტალის პატრონი იძულებული ხდება აჰყვეს სპეკულიაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამარცხებული წავა ბაზრიდან".

არც ერთი მისი ეკონომიური და პოლიტიკური დიაგნოზი ჩვენი ცხოვრებისა ჯერ არ აცდომია სინამდვილეს. ეს შეხედულება უაღრესად მართლდება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ზერელე გადათვალიერებით.

სავაჭრო ბანკების სიცხვი გამრავლდა და ამ ბანკებში სამსახური ბევრს საოცნებო საგნათ გადაექცა. ბანკის „მოღვაწეთა" თვიური ჯამაგირი ავიდა ორმოც ათას მანეთამდე. ოცდა ათი ათასი! ოცი ათასი! თხუთმეტი ათასი!

ეს ციფრები ჩვეულებრივი ჯამაგირია იმ პირებისათვის, რომლებსაც ამ „მადლიერ" დაწესებულებებში მოუკალათებიათ და ეს მაშინ, როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირები რესპუბლიკაში სანახევროთ მშივრები არიან.

ეს წვრილმანი საკითხი როდია!

ასეთი ფაქტები დამახასიათებელია. ეს არის საბუთი იმისა, რომ ბანკები კარგათ ვაჭრობენ ერთის მხრით, ხალხს კი თანდათანობით აკლდება, ის ღატაკდება მეორე მხრით.

მიმოვიხედოთ ირგვლივ და დინჯათ დავფიქრდეთ.

ჩვენი ქვეყანა არც ისე დიდია, რომ საძნელო იყოს მისი შესწავლა.

ამ პატარა სამშობლოში ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ და არც ისე ძნელია შეტყობა იმის, თუ ვინ რას აკეთებს, ვინ რით ცხოვრობს.

და როდესაც ზოგიერთი „მოღვაწეები" დაუქირავებია სპეკულიატიურ კაპიტალს, რომ თავისი ბნელი საქმენი მათი ავტორიტეტით „ხალხისათვის სასარგებლო საქმეთ" გაასაღონ, მორიდება ზედმეტია. დროა ვუთხრათ ამ „მოღვაწეებს": თავი დაანებეთ ბატონებო ხალხის სახელის უზურპაციას, თორემ მოვა დრო და პასუხს აგებთ მის წინაშე. გაუფრთხილდით ამ პასუხისმგებლობას. ამის დრო ჯერ კიდევ არის!

* * *

აშკარა არის, რომ კერძო ბანკებში საქმე ჩვენდა სასარგებლოდ არ არის.

მდგომარეობა მოითხოვს საზოგადოებრივ ძალების მობილიზაციას. თუ ჩვენ გვინდა წარმოების გაჩაღება, საქონლის დამზადება და მრეწველობის აღდგენა, ჩვენ მეტი ასპარეზი უნდა დაუთმოთ საზოგადო ორგანიზაციებს.

საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა ქალაქთა კავშირმა. საძირკველი ჩაეყარა და აღმშენებლობითი მუშაობას ამზადებს ახალგაზრდა ერობა. დიდ თანხას ატრიალებს და გამარტივებული ორგანიზაციის მქონე არის კოოპერატივთა კავშირი. მივანდოთ მათ მთელი ჩვენი ნდობა და მთელი ჩვენი იმედები. ბანკის დაარსების საკითხი მათ წრეებშიაც დაიბადა.

ეს ორგანიზაციები ყველაზე ადრე და კარგათ გრძნობდნენ იმ მოწამლულ ატმოსფერას, რომელიც შექმნეს ჩვენს ეკონომიურ სინამდვილეში ზოგიერთმა კერძო ბანკებმა, რომლებიც უბრალო სასპეკულიაციო კანტორათ გადაიქცნენ.

და განიზრახეს ბანკის დაარსება. ქალაქთა კავშირმა წამოაყენა იდეია საერთო ბანკისა.

ახალგაზრდა ერობა ურჩობას იჩენს და არ იზიარებს ამ აზრს.

ჩვენ გვგონია, სამი სხვადასხვა ბანკი მოგვცემს დიდ ხარჯს, საქმე კი საიმისო არ გაკეთდება.

ყოველ მუშაკს, რომელიც ეკონომიურ სფეროში მოქმედებს, უნდა მცნებათ ჰქონდეს შემდეგიმ ოსაზრება:

— ყოველგვარ ხარჯის გადამხდელი არის ხალხის ჯიბე.

გარდა ამ მოსაზრებისა, ერთი საზოგადო ბანკი მით არის სასარგებლო, რომ მუშაობა, ხალხის სამსახური, საერთო საქმის მოგვარება ჰარმონიული, შეფარდებული იქნება და ეს ასარგებლებს სახელმწიფოს.

გავიხსენოთ უკვდავი კრილოვის არაკი: გედის, კიბოს და თევზის შესახებ...

საქართველოსთვის საკმარისი არის ერთი საზოგადო ბანკი. ეს არის ერთად ერთი საიმედო საშუალება „ბანკობიას" ასალაგმავად.

და სამშობლოს ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**გორდონი.**

## სასამართლოში

შალვა მაღლაკელიძისა და სხვათა საქმე.

11 ივლისის სხდომა.

მოწმე **კიკნაძე** (საგუბერნიო ბათალიონის ყოფილი ხაზინადარი) ადასტურებს, რომ გაფლანგვის აღმოჩენის შემდეგ იგი იყო იუშკევიჩის სახლში და მის საწერ მაგიდის უჯრაში ნახა ის ტალონები, რომლითაც ხაზინიდან ზედმეტი ფული იყო გამოტანილი შენგელაიას სახელზე. და ამასთანავე ამტკიცებს, რომ როგორც გაგებული მაქვს განზრახ მ-მაშორა ჩაჩიბაიამ ხაზინადრის თანამდებობას და ჩემს ნაცვლად შენგელაია დაინიშნაო.

მოწმე **ე. ლომთათიძე** (შინ. საქ. მინ. პირ. მდივანი.) აცხადებს, რომ საკითხი ჩაჩიბაიას დანიშვნისა საგუბერნიო ბათალიონის უფროსად მაღლაკელიძეს არ აღუძრავს, იგი სამინისტროში დაიბადა, თუმცა მისი დანიშვნა მაღლაკელიძის დასტურით მოხდა. მახსოვს ის შემთხვევა, რომ ჩაჩიბაია სამინისტროში მოვიდა და განაცხადა,—ავად ვარ და გორში ბათალიონს ვერ გავყვებიო. შევატყვე, რომ ავადმყოფობა არ იყო მიზეზი წასვლაზე უარის თქმისა, რაღაც შეშინებულს ჰგავდა. მართლაც შემდეგ განაცხადა, იქ რომ წავიდე, მაღლაკელიძე მომკლავსო. მე ეს მინისტრის ამხანაგს მოვახსენე, რომელმაც მითხრა: ჩაჩიბაია დარჩეს აქ და ხვალ გამოვარკვიოთ საქმეო. ღამით ჩაჩიბაია დაჭერილი მოიყვანა ჩემთან მე 4 უბნის კომისარმა. იგი შეეპყროთ მაღლაკელიძის განკარგულებით. ჩაჩიბაია მინისტრთან გავგზავნე, რომელმაც იგი გაანთავისუფლა და მეორე დღეს სრულიად დაითხოვა სამსახურიდან. მაღლაკელიძის განმარტებამ სახლის ყიდვის შესახებ ყველანი დაგვაკმაყოფილა. მაღლაკელიძეზე აზრი შევიცვალე მაშინ, როდესაც ფულის გაფლანგვა გამოაშკარავდა. მოწმე აცხადებს, რომ სამინისტროში არავინ აწარმოებდა ინტრიგას მაღლაკელიძის წინააღმდეგ, პირიქით, ყველანი კარგის თვალით უცქეროდნენ.

მოწმე **იოსებ ნადირაძე** (ქუთ. გიმ. დირექტორი) მაღლაკელიძეები საერთოდ შეძლებული არიან. მათში ყველაზე შეძლებული შალვა მაღლაკელიძის მამაა. ის ერთხელ მამაჩემთან მოვიდა და როგორც თავის დაახლოვებულ მეზობელს და მოძღვარს შინაურ საქმეებზე დაუწყო ბაასი. სხვათა შორის სთქვა, რომ შალვა თავის მონაწილეობას ძმას უთმობს, რადგანაც ეს უკანასკნელი უსწავლელი დამრჩაო. მე კი მინდა სამაგიეროდ ფული მივცე შალვასო, მაშინ მამა-ჩემმა ურჩია შალვის მამას, ფულის ნაცვლად სახლი უყიდეო.

**12 ივლისის სხდომა.**

მოწმე **მ. კოღუაშვილი** (თფ. განსაკ. რაზმის უფრ. აგენტი), რომელიც ჩაჩიბაიას ახალციხეში ყოფნის დროს ყოფილა იქ, აცხადებს, რომ მას არასოდეს არ გაუგია რა იმის შესახებ, თუ ჩაჩიბაია იარაღს ჰყიდდაო.

მოწმე **მ. კედია** (განსაკუთრ. რაზმის უფროსი). როცა საგუბერნიო ბათალიონში ფულის ყუთი გასტეხეს და 100,000 მ. წაიღეს, მე ეჭვი მივიტანე ხაზინადარ შენგელაიაზე, რომელიც დავაპატიმრე, მინდოდა დაჭერა მოდარაჯე ჯარისკაცისა, მაგრამ იგი გაიპარა და ვერც გავიგე მისი ნამდვილი გვარი. შენგელაიას სახლში გაჩხრეკის დროს 30 ათასი მანეთი აღმოჩნდა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ფული ჩაჩიბაიასაგან მაქვს გადმოცემულიო. შემდეგ განაცხადა, რომ ჩაჩიბაიას დავალებით ყალბი დოკუმენტებით ფული გამომქონდა ხაზინიდანო და იმას ვიყოფდითო. ამ საქმის მონაწილეთ დაასახელა საგუბერნიო კომისარიატის ბუხჰალტერი იუშკევიჩი. ჩაჩიბაია გამოტყდა და განაცხადა: ამ გზით 400,000 მ. გვაქვს მიღებული და ამ საქმეში მაღლაკელიძეც ურევია. მე მხოლოდ 5 ათასი მანეთი მაქვს მიღებულიო. შემდეგ მოწმეს აძლევენ კითხვებს.

მოწმე **შახნაზაროვი** ადასტურებს, რომ საგუბერნიო ბათალიონის რევიზიის დროს მას საგუბერნიო კომისარიატის ბუხჰალტერმა იუშკევიჩმა სწორი ცნობა არ მისცა.

მოწმე **ბიჩკოვსკი** (საგუბერ. კომისარიატის კანცელიარიის საქმის მართველი). მოწმე ეხება იმ 100,000 მანეთს, რომელიც მაღლაკელიძეს საგუბერნიო ბათალიონის კვარტირმეისტერს ხოშტარიასთვის გადაუცია სანოვაგის შესაძენად. ხოშტარიამ არც სანოვაგე შეიძინა და ფულსაც არ უბრუნებდა მაღლაკელიძეს. ამის შესახებ არა ერთხელ ჰქონია მაღლაკელიძეს ლაპარაკი კალანდარაშვილს და ჩაჩიბაიასთან. უკანასკნელი ამშვიდებდა და ეუბნებოდა მაღლაკელიძეს მე გაგინაღდებთ ფულსო. ფულის დაბრუნებას არა ეშველა რა და ბოლოს კალანდარიშვილმა ბრძანება გასცა მოეძებნათ და დაეპატიმრებინათ ხოშტარია.

**ბრალდებული ხოშტარია** აცხადებს, რომ ტყუილია სი, სე ვითომც მე მეძებდენ; პირიქით, ყოველდღე ვხვდებოდი მაღლაკელიძეს და ვმსჯელობდით ერთად ჩვენს საქმეზე. ამავე დროს მომცა მაღლაკელიძემ რწმუნება სახლის ყიდვის შესახებ.

**ბრალდ. მაღლაკელიძე** დაწვრილე-

ბით მოუთხრობს სასამართლოს, თუ რა პირობებში მისცა ხოშტარიას მან ფული სანოვაგის შესაძენად, როგორ დაეძებდა მას. ხოშტარია მართლაც იქნა დაპატიმრებული, მაგრამ მალე გაანთავისუფლესო. მას ეხმარებოდა განსაკუთრებულ რაზმის უფროსის მაშინდელი თანაშემწე ფაჩულია, რომელიც ხოშტარიას ცოლის ნათესავიაო.

**ბრალდ. ხოშტარია** აცხადებს, რომ მაღლაკელიძემ 600,000 მანეთი ბატალიონის სანოვაგის შესაძენად კი არ მომცა, არამედ—სავაჭროთ, რომლის მოგებაც ჩვენ უნდა გაგვეყოო. მე სწორედ იმ ფულიდან ვუყიდე მას სახლიო. მაღლაკელიძის დამცველი შ. მესხიშვილი მოითხოვს წაკითხულ იქნას ხოშტარიას მიცემული ხელწერილები. სასამართლო კითხულობს ამ ხელწერილებს, საიდანაც სჩანს, რომ კვარტირმეისტერ ხოშტარიას ბატალიონის საჭიროებისათვის მიუღია მაღლაკელიძისაგან 100,000 მ. შემდეგ ამისა კითხულობენ ხოშტარიას მიერ მაღლაკელიძისადმი მიწერილ წერილს, საიდანაც ირკვევა, რომ ხოშტარიას მიუღია მაღლაკელიძისაგან 75 ათასი მანეთი სახლის შესაძენათ. ეს ფული არ აღმოჩენილა საკმარისი და სახლი დაუგირავებია მუფატიევისათვის, რომლისგანაც მიუღია 45 ათასი მანეთი. წერილის დასაწყისში მაღლაკელიძის წინ ხოშტარია ბოდიშს იხდის, საქმის გამოსწორებას ჰპირდება და ამბობს: ვინც ამ ოპერაციაში ჩამითრია, ის განზე გადგაო. წერილში არის კიდევ ასეთი ადგილი: ცოდვა იმას, ვინც მსხვერპლი გამხადა ამ საქმის და ჩემი დედის და ცოლშვილის დამღუპველი გახდაო.

მხარეების კითხვაზე—ვინ არის ის კაცი, რომელზედაც ლაპარაკია წერილშიო, მაღლაკელიძე განმარტავს, რომ ეს არის ჩაჩიბაია, ხოშტარია კი აცხადებს, ეს მაღლაკელიძე არისო. ამის გამო დამცველი მესხიშვილი კვლავ უყენებს კითხვას: თუ წერილში ნაგულისხმევი გყავდათ თქვენ დამღუპველათ მაღლაკელიძე, რაღათ სწერდით, თქვენი მონა მორჩილი, პატივისცემით და სხვა. და თუ არ მიგიღიათ 20 ათასი, 6 ათასი, 44 ათასი, რაღად ჩასწერეთო. ამაზე ხოშტარია უპასუხებს, რომ ავად ვიყავი, სიცხე მქონდა და რა დავწერე თვით არ ვიციო.

მოწმე **პოლ. შამშურინი** (ტფილ. საგუბერნიო ბატალიონის ყოფილი უფროსი). კვარტირმეისტერი ხოშტარია გარეშე საქმეებს ბევრ დროს ანდომებდა. ჩაჩიბაიაზე ამბობს: ქუთაისიდან ტფილისს ბატალიონში ახალი გადმოყვანილი ვიყავი. პირველ თვეს ბატალიონში ეკონომია გავაკეთე 90 ათასი მანეთი, რაც მოვახსენე საგუბერნიო კომისარს მაღლაკელიძეს, რომელმაც მითხრა, შეიტანეთ ეს შემოსავლის წიგნებშიო. ცოტა ხნის შემდეგ კარიდორში დამხვდა ჩაჩიბაია, რომელმაც მითხრა ფული არ წარმოადგინო, რა საჭიროა, ,მანდედან შენც გერგება 5 ათასი მანეთიო. ასეთი წინადადება მე ხუმრობათ მივიჩნიე. მხარეების კითხვაზე, მოწმე ამბობს: 1) საგუბერნიო კომისარს ნება ჰქონდა ბატალიონის კვარტირმეისტერისთვის ფული მიეცა ბატალიონის საჭიროებისათვის და არც იყო მოვალე ეს შეეტყობინებინა ბატალიონის უფროსისათვის: მას შეეძლო ეგულისხმა, რომ კვარტირმეისტერი თავის უფროსს აცნობებდა ამას, უფროსი კი კომისარს წარუდგენდა დახარჯულ ფულების გასამართლებელ საბუთებს. 2) ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთის მიზნისთვის გადადებული ფული მეორე, უფრო საშურ საქმეს ხმარდებოდა. ამიტომ გუბერნიის კომისარსაც ჰქონდა ნება განსაზღვრულის მიზნისთვის მიღებული ფული დაეხარჯა საგუბერნიო ბატალიონის საჭიროებისათვის.

## რესპუბ. დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირში

ივლისის 4 შესდგა რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრნენ რესპუბლიკის თითქმის ყველა მაზრებიდან დაჭრილ-დასახიჩრებულნი, რიცხვით 170 კაცამდე. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობა რესპუბლიკაში, 4) საერთაშორისო ინვალიდთა ყრილობა და რესპუბლიკის ინვალიდები, 5) ტფილისში დაარსებული ტფილისის მცხოვრებთა სოციალური დახმარების საზოგადოება და დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი, 6) არჩევნები გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და საამხანაგო სასამართლოში.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი რ—შვილი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ გამგეობას მეტად ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია, გაუძლიერებია კავშირი მატერიალურად, უზრუნვია კავშირის წევრთათვის და სხვა. საზოგადო კრებამ სავსებით დამაკმაყოფილებლათ ჩასთვალა გამგეობის მოქმედება და ამის შესახებ სათანადო რეზოლიუციაც გამოიტანა.

სარევიზიო კომისიამაც დადებითად ჩასთვალა გამგეობის მუშაობა, მაგრამ მიუთითა ზოგიერთ დეფექტებზე. მესამე საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ივ. მ—მა. მან დაუხატა დამსწრეთ დასახიჩრებულთა უმწეო მდგომარეობა, აღნიშნა ამის მიზეზებიც და კრებას მოახსენა ის გზები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დაჭრილ-დასახიჩრებულთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. საერთოდ მოხსენებაში ერთი უმთავრესი დებულება იყო გატარებული; დაჭრილ-დასახიჩრებულთა შორის თვით მოქმედების პრინციპების გაღვივება და მათი შრომის ფერხულში ჩაბმა. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. დასასრულ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომლის გაცნობა მთავრობისათვის დაევალა არჩეულ დელეგაციას. 4 ივლისს ყველა საკითხების გარჩევა ვერ მოხერხდა და შემდეგი სხდომა დაინიშნა მეორე დღისათვის. მეორე სხდომას დაესწრო ჩვენი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი. მინისტრმა მეტად შინაარსიანი და თბილი სიტყვებით მიმართა დაჭრილებს და აღუთქვა ყველას მთავრობის სახელით ყოველმხრივი დახმარება.

დაჭრილები დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ მინისტრის მოსვლით და მის მიერ ნათქვამ გულწრფელ სიტყვებით.

სხვათა შორის, საზოგადო კრების სახელით ვ. მ—მა მინისტრს სთხოვა იმ თავშესაფარის კავშირზე გადმოცემა, რომელიც ეკუთვნის ვორონცოვ-დაშკოვის ქვრივს და რომელსაც დეპეშით გაუცხადებია სურვილი აღნიშნულ თავშესაფარის კავშირზე გადაცემაზე.

მინისტრი დაპირდა კრებას, საქმის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ, ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

მეოთხე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს რუსეთიდან ჩამოსული საერთაშორისო ინვალიდთა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის წევრი დოროფეევი, რომელიც აღნიშნავს რუსეთში ინვალიდთა გაჭირვებულ მდგომარეობას და მოუწოდებს კრებას ხმა მისცენ მესამე სრულიად რუსეთის ინვალიდთა ყრილობის დადგენილებას და გააგზავნონ მათთან ევროპაში დასახიჩრებულთა საკითხის შესასწავლად და საერთაშორისო ინვალიდთა ყრილობის მოსაწვევად საქართველოს ინვალიდების წარმომადგენელი.

საერთო კრება ფინანსიური მოსაზრებით, უარს აცხადებს წარმომადგენლის ევროპაში გაგზავნაზე დაჭრილ-დასახიჩრებულთა საკითხის შესწავლის მიზნით; კრება ადგენს ეთხოვოს მთავრობას დაავალოს საზღვარ-გარეთ მყოფ სტუდენტებს შეისწავლონ პროტეზების კეთების საქმე და სპეციალური მეთოდიკა დასახიჩრებულთა გამოყენებისათვის.

საერთაშორისო ინვალიდთა ყრილობა, თუ'კი იქნება მოწვეული ან თუ შესდგება, მაშინ გაიგზავნოს კავშირის ერთი წარმომადგენელი.

მეხუთე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს სოციალური საზოგადოების თავმჯდომარე—ათაბეგ-ტუმასი, რომელიც მოუწოდებს კრებას შეუერთდნენ დაჭრილ-დასახიჩრებულნი ცენტრალურ სოციალურ საზოგადოებას. კრება იღებს შემდეგ რეზოლიუციას: კავშირის შეერთება სოციალურ საზოგადოებასთან ნიშნავს კავშირის მოსპობას, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციისას, რაც კატეგორიულათ უარყოფილ უნდა იქნას. ამასთანავე კრება სურვილს გამოსთქვამს იქონიოს მჭიდრო კავშირი აღნიშნულ საზოგადოებასთან.

დასასრულ გაუქმებულ იქნა საბჭო კავშირისა და მის მაგივრათ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა ხუთი კაცისაგან: ეარლამ კაპანაძე, ივანე მუსლიაში, მალაქია ახთელავა, გრიგოლ აბრამიძე და ვახტანგ როსტომაშვილი. კანდიდატებათ: ჰურღულია ვარლამ და შალიკო აბესაძე.

სარევიზიო კომისიაში: ბალუაშვილი, სულავა და მოისრაფიშვილი.

საამხანაგო სასამართლოში: არდიშვილი, ჰუმბურიძე, სამხარაძე, კეცხოველი და ახვლედიანი. კანდიდატებათ: ასათიანი და გელაშვილი.

კავშირის წევრი **ს. გელაშვილი.**

## ს. დ.-პარტიაში

**სოფ. მუხიანი.** (ქუთ. მაზრა). 13 ივნისს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრება. გაირჩა შემდეგი საკითხები: პარტიული მუშაობის და წევრთა მიღების შესახებ, პარტიული გადასახადი, წრეში მეცადინეობა და კულტურული დაწესებულებანი. პირველ და მე-2 საკითხის შესახებ კოლექტივის პრეზიდიუმმა განაცხადა, რომ კრება სისტემატიურათ იმართება, წევრთა რიცხვი მატულობს, მაგრამ პარტიული გადასახადი ცოტა შემოდისო. კრებამ დაადგინა, რომ დაევალოს ყველა ამხანაგებს სისტემიტიურათ იხადონ გადასახადი, რათა კოლექტივს ჰქონდეს პარტიულ მუშაობის წარმოების საშუალება. გადაწყდა აგრეთვე წრეში მეცადინეობის მოწყობა, რაც შეიძლება მოკლე დროში. კულტურულ დაწესებულებათა შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბიქ. ფუთურიძე. ის აღნიშნავს, რომ ჩვენი სკოლა მასწავლებლის უვარგისობის გამო სიკვდილის პირზეა მისული, სამკითხველო უსახსრობის გამო ლამის დაიხუროს; საჭიროა ამ დაწესებულებებს პარტიის წევრებმა ყურადღება მიაქციონ და საჭირო დონეზე დააყენონ. კრებამ იქონია მსჯელობა ორივე დაწესებულებებზე და დაადგინა შემდეგი: რადგან მასწავლებელი ვ. ქუთათელაძე კერძო საქმეებითა გართული და მოსწავლენი კი წლის განმავლობაში ნახევარჯერ უსაქმოთ დადიან, ამიტომ ეთხოვოს სამაზრო ერობას ქუთათელაძის მაგივრათ დანიშნოს მუხიანის სკოლაში ნამდვილი სახალხო მასწავლებელი და არა სოფლის ვექილი. სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საზრუნავათ არჩეულ იქნა რამდენიმე პირისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც მოკლე ხანში უნდა გამართოს მუხიანში წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოთ.

26 ივნისის კრებაზე გაირჩა საკითხები: ომში წასულთა ოჯახების დახმარება და მუხიანის ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულათ დარჩენის შესახებ, თანახმათ 1917 წ. 2 სექტ. ქუთაისის საგუბერნიო გლეხთა საკრებულოს გადაწყვეტილებისა.

კოლექტ. პრეზიდიუმის მონდობილობით **ს. ჯინჭველაშვილი.**

## მუშათა შორის

**ბათომის მუშათა მდგომარეობა.** ბათომიდან დაბრუნებული შრომის კომისარი ელბაქიანი ბათომის მუშების მდგომარეობის შესახებ შემდეგ ცნობებს იძლევა: აქამდის ბათომისა და ბათომის ოლქის მუშების ინტერესების დაცვა არ ყოფილა ნორმალურად მოწესრიგებული: არ იყო მუშების დამზღვევი ორგანო და არ იყო საავადმყოფო კასა. ინგლისის სარდლობამ სამუშაო ხელფასის მინიმუმად თვეში 6.600 მან. დააწესა, მაგრამ ნამდვილად მუშების მდგომარეობა ბევრად უარესი იყო, ვიდრე საქართველოში. ამის მიზეზი იყო ცხოვრების საშინელი გაძვირება. მუშების ორგანიზაციები მხოლოდ ნომინალურად არსებობდნენ, ვინაიდან ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები უმთავრესად პოლიტიკით იყვნენ დაინტერესებულნი. ბათომის საქართველოსთან შემოერთებით პოლიტიკური ატმოსფერა შემსუბუქდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროფესიონალური კავშირების მუშაობა ამ მოკლე დროში მოეწყობა.

შემდეგ ელბაქიანი გადმოგვცემს, რომ ბათომში სპეკულიაციამ მაგარი ბუდე გაიკეთა, რამაც ცხოვრების საშინელი სიძვირე გამოიწვია; მაგრამ 7 ივლისიდან ბევრ პროდუქტზე ფასები საგრძნობლად დაეცა. გირვანქა ყველის ფასი 150 მან.-დან 80—90 მანეთამდე დაეცა. კარტოფილზე 45 მ. 25—30 მან., კვერცხზე 14 მ. 9—10 მანეთამდე და სხ. ფასების დაწევა უმთავრესად აიხსნება იმ მიზეზით, რომ ეს პროდუქტები სამტრედიიდან შემოაქვთ. დაბრკოლებას იწვევს პურის საკითხი, მაგრამ მიღებული ზომებით მცხოვრებთათვის პურის მიწოდება თანდათან ეწყობა. საკმაოდ მოიძებნება ხორცი. მწვავედ სდგას ბინის საკითხი, მაგრამ ამ მიმართულებითაც მიღებულია საჭირო ზომები. მიღებულია ზომები მუშების უბედურ შემთხვევებისგან დაზღვევის მოსაწყობად და შრომის ბირჟის მომრიგებელ კამერების დემოკრატიულ საფუძვლებზე რეორგანიზაციისათვის. მიღებულია აგრეთვე ზომები მუშების და მოსამსახურეებისათვის მომარაგების სამინისტროდან სურსათის მიწოდების მოსაწყობად. (სდს).

## პროვინცია

**ჭალადიდი** (სენაკის მაზრა). ეს სოფელი სენაკის მაზრის ყველა თემებზე დიდია და მდიდარიც ყოველ მხრივ. მეშით უწინ ის ინახავდა ჩვენი რესპუბლიკის მთავარ ქალაქებს და დიდძალი სიმინდიც გაქონდათ აქედან ფოთის გზით საზღვარ-გარეთ. საზამთრო საბალახოები ხომ აუარებაა ტყის გულში და სხვადასხვა კუთხის მეჯოგენი იქ ინახავენ თავს. ასე ყოველ მხრივ სიმდიდრით დაჯილდოვებულ თემს წელს სიმშილით უბედურება ატყდება თავს. გასულ წელს სამეგრელოს არც ერთ სოფელს საყოფი მოსავალი არ მიუღია. ჭალადიდის მცხოვრებთ კი ერთი ტარო სიმინდიც აღარ მოუწევიათ. და არამც თუ სიმინდი, გადიდებულმა რიონმა მრავალი მკვიდრი მოსახლენიც ადგილებიდან აჰყარა და, თუ რაიმე გააჩნდათ, მოსტაცა და ზღვას შეუერთა.

ყველა ამის გამო, თუ რა უბედურება დაატყდა წელს ჭალადიდელებს, ამის აღწერა ძნელია. შიმშილი აქ მცხოვრებთ მუსრს ავლებს, და რამდენიმე ვაგონი სიმინდი რომ მთავრობას არ მოეწოდებინა, დღემდის სიმშილით სიკვდილს და თვითმკვლელობებს ექნებოდა ადგილი.

წელს ჭალადიდის მთელი მიდამო ერთიანად დახნულ დათესილია, ჯერჯერობით მოსავალს კარგი პირი უჩანს და ამ რიგად, ჰავამ თუ ხელი შეუწყო, მოსალოდნელია იმდენი მოსავლის დაგროვება, რომ ადგილობრივებს სამ წელსაც ეყოს, მაგრამ არც იმის გარანტია აქვს ვინმეს, რომ მძაფრი რიონი თავის ჩვეულებას არ გაიხსენებს და არ წალეკავს ყველაფერს.

სენაკის სამაზრო ერობამ ერთი საშვილიშვილო ნაბიჯი უკვე გადასდგა. მან შემოავლო დამბა რიონს ცხენი წყლის შესართავიდან დაწყებული სუჯუნის ბოლო საზღვრის დამთავრებამდის. ჯერი ეხლა მიმდგარია ჭალადიდზე. ჭალადიდის მცხოვრებთ სჭირიათ ინიციატივა—წინამძღოლობა. დანარჩენი ყოველივე ხარჯებს და შრომას თვითონვე გაიღებენ. თუ ერობამ ეს საქმე დაჩქარებით ვერ მოაგვარა, ჩვენი მხარე მუდამ საფრთხეში იქნება ჩავარდნილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა დაწყებულ საქმეს დააგვირგვინებს და ერთხელ და სამუდამოთ ალაგმავს რიონს ჭალადიდის მიდამოებშიაც. **იმედი.**

---

**სად. ახალ-დაბა** (სუმბათოვი). სუმბათოვის ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშებმა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებმა გამართეს დიდი მიტინგი ბათომის და მისი ოლქის ჩაბარების გამო. მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. ბარბაქაძე, მდივნათ ნ. შალიბაშვილი.

მოხსენება გააკეთა ამხანაგ ე. სირაძემ. მიტინგმა გულმოდგინეთ მოისმინა მოხსენება და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ბათომის და მისი ოლქის ჩაბარებაზე' ჩვენ ყველანი დიდის აღტაცებით ვეგებებით 7 ივლისის დადებულ აქტს. ვულოცავთ ჩვენს მთავრობას ჩვენი გვარდიის და ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებას.

მიტინგის მდივანი **ნ. შალიბაშვილი.**

**ს. ატენი.** ჩვენი სოფელი თანდათან იღვიძებს. ის ამოდის ბნელ ორმოდან. დღეს სოფელში ველარ გაიგონებთ იმას, რაც ხშირათ გვსმენია: „რა დროს სკოლაა? ჩემი სკოლა გუთანია და წიგნი კი დედა-მიწა". თითქმის სოფლის ყველა მოქალაქე მოუთმენლად ელის ენკენისთვის რიცხვებს, როდესაც ის სკოლაში მიიყვანს თავის შვილს იმ მიზნით, რომ შვილი „ნასწავლი" გამოვა და „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი"-ო. სოფლის განვითარებას ხელს უწყობს გორის ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა ჯგუფი. ეს ჯგუფი, რომელიც სულ მოწაფეებისაგან შესდგება, 11 ივნისს ირაკლი შველიძის რეჟისორობით და იასონ ხუციშვილის მეთაურობით გვეწვია სოფ. ატენში. სცენის მოყვარეთა ჯგუფმა წარმოადგინა ცაგარელის ცნობილი კომედია: „რაც გინახავს, ველარ ნახავ". სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენამ ფრიად წყნარათ და სასურველად ჩაიარა. წარმოდგენის მთელი შემოსავალი, რომელიც 3000 მანეთამდე აღწევდა, გადაიდო ატენის ხეობაზე დახოცილ გვარდიელების ოჯახების სასარგებლოთ. ხსენებული თანხა განაწილდა შემდეგ ნაირათ: 1) ილო ქიღლაძის დედ-მამას მიეცა 800 მან. 2) ილია ლოთეშვილის ქვრივს მიეცა—800 მან. 3) ლავრენტი ნონიკაშვილის დედას—1400 მანეთი. თვითონ სცენის მოყვარენი აღტაცებულნი იყვნენ იმით, რომ ხალხი, სულ ახალ ტანისამოსში გამოწყობილი, ზრდილობიანათ და მშვიდათ უსმენდა წარმოდგენას და არავითარი, სულ მცირე, სიტყვით წამოძახილი და უსიამოვნება არ მომხდარა. ატენის რაიონის გვარდიელების სახელით მადლობას ვუძღვნი გორის ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა ჯგუფს და ჩემდამი რწმუნებულ კანცელარიის საქმის მწარმოებელს ევგენი ედილაშვილს, რომლის თაოსნობით, ხელმძღვანელობით და საქველმოქმედო მიზნით გამართულ იქნა ზემოხსენებული წარმოდგენა.

ატენის რაიონის სახ. გვარ. რწმუნებული **დიმიტრი ვანიშვილი.**

## ბიბლიოგრაფია

**ოსების ჩამოსახლება ქართლში. ზ. ჭიჭინაძის.**

„თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართველებს ბევრი მტერი გამოუჩნდა და ამიტომაც ველარ შესძლო ძველებურათ გაეწია დახმარება ოსებისათვის. გაჭირებულ დროს საჭირო იყო ძალების შემოკრება. ამიტომ ოსეთიდან დაბრუნდნენ საქართველოში ყველა ის მასწავლებლები, რომლებიც იქ ასწავლიდნენ ხელობას, წერა-კითხვას და სხ. ოსებმა იმათი შეცვლა ვერ შესძლეს. ამიტომ თითქმის მთელი ოსეთი გაშიშვლდა, ტანისამოსი არა ჰქონდათ, ფეხშიშველები დადიოდნენ. შემდეგ როცა წისქვილებიც კი დაიქცა და პურის შოვნაც გაძნელდა, ქართლში იწყეს გადმოსვლა და მცხოვრებლების ძარცვა-რბევა, სოფლების დაჩემება. ქართველები ვერ აქცევდნენ ამას სათანადო ყურადღებას, ოსები უფრო თამამდებოდნენ, გადაეჩვიენ მუშაობას და მხოლოდ ძარცვა-გლეჯითა ცხოვრობდნენ. მაგრამ გიორგი ბრწყინვალემ ბოლო მოუღო ოსების ასეთ მოქმედებას. ის თავის მისწრაფების—ქართლის გაერთიანების განხორციელებაში შეეჯახა ოსების ბელადის საწინააღმდეგო მოქმედებას და ბოლო მოუღო კიდეც ამ ბელადს. ამის შემდეგ ოსებმა გააძლიერეს თავისი მოქმედება—ქართლის ძარცვა-გლეჯა, და გიორგიმ მათ უპასუხა ლაშქრობით, ოსები გადარეკა ქართლიდან, დაუბრუნა სახლები და სოფლები ძველს პატრონებს, ოსებს მიჰყვა მათ ქვეყნის შუაგულამდის და პირობა ჩამოართვა ქართლში აღარ ჩამოხვალთო. ისინი დათანხმდნენ, მხოლოდ სთხოვეს ხელოსნები გამოგვიგზავნეთ, თითო ხელობის სამ-სამი კაცი, შევიმოსებითო. მეფემ გაუგზავნა მათ ხელოსნები. შემდეგ მეფემ მოდარაჯეებით კავკასიონის მთებზე დააყენა მოხევეები. ამას მერე ორი საუკუნის განმავლობაში—1330 წლიდან აღარც ერთი ოსი არ შემოსულა საქართველოში.

მაგრამ მე-16-ე საუკუნის დასასრულს ოსეთში იყო დიდი პურის მოუსავლობა—3 წელი ზედიზედ; ხალხი დაიმშა, ბალახს სჭამდნენ. ამან იქონია ოსებზე გავლენა და ისინი გადაიხვეწნენ გარეშე ქვეყნებში; ერთი ნაწილი საქართველოში გადმოვიდა. ყველგან ეს გარდახვეწილნი მათხოვრობას მისდევდნენ, მაგრამ ვერსად ვერაფერსა შოულობდნენ, საქართველოს გარდა. ამიტომ მალე მთელი ქართველის სოფლები მათხოვარა ოსებით აივსო. და იმის შემდეგ, რაც მათი ამგვარი ცხოვრების მიზეზი გაიგო სიმონ მეფემ, მან დართო ნება ხიზნებათ გადმოსახლებულიყვნენ ქსნისა და არაგვის ერისთავების მიწა-წყალზე. ოსებმა იწყეს გადმოსახლება და მალე ყველა ქართლის სოფლებში ოსები იყვნენ დასახლებულნი. ქართველები შეელოდნენ იმათ, მისცეს ხე-ტყე სახლების ასაშენებლათ, სახლის ავეჯეულობა, ჭურჭელი, საქონელი; მე-16-ე საუკუნის დამდეგს ოსებმა ასეთი დახმარებით სოფლებში ფეხი მოიკიდეს, შემდეგ ისინი ყმებათაც დაუდგნენ მებატონეებს, რადგან შიში ჰქონდათ, იქნება აქედან აყრა დაგვიპირონო. ამით უფრო დაუახლოვდნენ გლეხებს, დაიწყო იმათ შორის მეგობრული ურთიერთობა, გახშირდა ნათელ-მირონობა, ქალების მითხოვება და სხვა. განმტკიცდა ამრიგათ, კავშირი ქართლის ოსებსა და ქართველებს შორის; არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეღალატნათ ერთმანეთისათვის. ბრძოლაში მტერთან მხარი-მხარ იბრძოდნენ. აუარება ბრძოლები გადაუხდიათ ერთად სხვადასხვა მტრებთან".

აქ ავტორს მოჰყავს ნუსხა იმ ბრძოლებისა, რომლებიც გადაუხდიათ ქართველებს ოსებთან ერთად. შემდეგ ავტორი ასკვნის, რომ არ ეკადრებათ ოსებს მტრობა საქართველოსი, ეს ნიშნავს ძველი ამაგის დავიწყებას და ისტორიული წარსულის ლაფში ამოსვრასო. **X.**

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" № 147 იყო მოთავსებული წერილი მუშტაიდის კლუბის შესახებ „სცენის მოყვარის" საპასუხოდ. წერილს ხელს აწერს რკინის გზელთა ცენტრალური კულტურულ-განათლების კომისია.

მსურს კომისიის ყურადღება მივაქციო შემდეგს. კომისია სწერს: „მუშტაიდის კლუბი მხოლოდ ამ მოკლე ხანში გადმოვიდა რკინის გზელთა ცენტრ. კულტ.-განმანათლ. კომისიის ხელში. ამ მოკლე ხანში ჩვენ მოგვიხდა ბევრი ენერგიის დახარჯვა, რომ მოგვეგვარებინა აქოთებულ-ჩაფუშული საქმეები, დაგვემყარებინა წესიერება, რაც უმთავრესი იყო, გაგვეწმინდა კლუბი ისეთ სცენის მოყვარეთაგან, რომელთაც დიდი არაფერი კავშირი აქვთ „მელპომენის ტაძართანო" და სხვ.

მე არ ვიცი, რათ დასჭირდა პატივცემულ კულტ.-განათლ. კომისიას ასეთი საშუალებით ვინმე „სცენის მოყვარის" ბრალდებების გაბათილება. რომ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შევიდეს, ნება მიბოძეთ განვაცხადო შემდეგი: მთელი ორი წლის განმავლობაში ამ კლუბს განაგებდნენ პირველი რაიონის დემოკრატიის ნდობით აღჭურვილნი პირნი—მოწინავე მუშები და ინტელიგენტები, რომელნიც თავიანთ შრომას არ ზოგავდნენ, რომ კლუბი დაეყენებინათ სათანადო სიმაღლეზე. იყო დრო, როდესაც იარაღით ხელში უხდებოდათ მათ წესიერების დაცვა. ამის მოწამენი არიან 1-ლი რაიონის სახელოვანი ძველი გვარდიელი ამხანაგები. მართალია, უნაკლულო არაფერია ქვეყანად, მუშტაიდის კლუბსაც ჰქონდა ნაკლულევანება, მაგრამ ძველმა გამგეობამ იგი გადმოგცათ თქვენ უკვე მოწყობილი აპარატით, ნიადაგ მომზადებული; —ჩაფუშულ საქმეებს იქ ადგილი არ ჰქონია, ამის თქმა თქვენის მხრით დიდი ცოდვაა. რაც შეეხება სცენის მოყვარეთაგან კლუბის გაწმენდას, ჩვენ იგი ვაწარმოეთ და რაც ჩვენ ვერ მოვასწარით, იგი ახლა თქვენი ვალია. მართალია, კლუბს ბევრი მტრები ჰყავს; ამიტომ იყო, რომ ძველი გამგეობა ბევრს სცდილობდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ კლუბს გასჩენოდა ისეთი მძლავრი და ღონიერი ორგანიზაცია, როგორიც არის რკ. გზ. პროფ. კავშირი, რომ მტრებიც მოეგერებინა და კლუბის კულტურული საქმიანობა მრავალფეროვანი გაეხადნა; ამის იმედები მას ჰქონდა.

იმედია, ამ კავშირიდან გამოყოფილი კულტ.-განმანათლ. კომისია სასურველს უხარს გამოიჩენს და ამ იმედებს გაამართლებს.

ძველი გამგეობის თავმჯდომარე **არჩილ მათიკაშვილი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

ამა წლის 9 ივლისს

**დაკარგა**

პირადობის მოწმობა მოცემული სამხედრო უწყების აფთიაქის საწყობიდან დიდად გამოცხადებისა ითვლება გაუქმებულათ. ქრისტიანე ანდრიას ძე გისსი.
(2328 1—1)

ცხინვალში ოსების შემოსევის დროს უგზო-უკვლოთ დაიკარგა ყმაწვილი

**ნიკა ილიას ძე მაისურაძე**

14 წლისა, შავგრემანია და გამხდარი, თუ ვინმემ რამე იცის ამ ყმაწვილის შესახებ ვსთხოვ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: დ. ცხინვალი, ს. დგვრისი, ილია ზაქარიას ძე მაისურაძე.

ყ. სრულ-უფლებიან ვიმნაზიის გამგე მათემატიკის

**მასწავლებელი**

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს.
(2307 1—1)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

**იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი**

ზინგერის სისტემისა. პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი **ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **პ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საქმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავადმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი

**გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

**ხილომონ ისაიას ძე ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

**სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს: სკოლებისთვის ინსტრუქტორს (ჯამაგირი თვეში 5000 მან. სასურსათო დახმარების მაგიერ 2000 მან. დღიურად მიეცემა 1/30-დი თვიური ჯამაგირისა). გამგეებს და მასწავლებლებს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებისათვის; იწვევს აგრეთვე მასწავლებელთ პირველ დაწყებით სკოლებისათვის. უკანასკნელთ ეძლევათ ჯამაგირი თვეში 3480 მან.

ამასთანავე მოხსენებული ერობა 20 ივლისიდგან ამა წლისა აწყობს ქ. სიღნაღში ერთ-თვიან კურსებს მასწავლებელთათვის და აგრეთვე გარეშე პირთათვის, რომელთაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. მასწავლებლებს მიეცემათ დღეში 100 მანეთი. გარეშე პირთ უფასო ბინა.
(2337—2—1) **ერობის გამგეობა.**

**განცხადება**

ბორჩალოს სამაზრო ერობაში არის თავისუფალი ადგილები ექიმების: სარვანის, ავრანლოს და გომარეთის სასოფლო ამბულატორიებში და თერთმეტი ექიმის თანაშემწის (ფერშლის) ადგილი საექიმო და საფერშლო პუნქტებზე ეკატერინოვკაში, ბაშკიჩეთში, ბარმაქსიზში, სარვანში, არუხლოში, კოჩაგანში, შულავერში, არჯევან-სარვანში და გომარეთში. მსურველებმა თხოვნასთან ერთად უნდა გამოგზავნონ ცნობები წინანდელ სამსახურზე, მოწმობები: განათლების, ადგილობრივ ენების ცოდნის და ქვეშევრდომობის, ან მათი შემოწმებული ასლები.

ერობაში მოსამსახურეები ღებულობენ სასურსათო განყოფილებიდან პირველ საჭიროების ზოგიერთ საგნებს იაფ ფასებში.

თვიური ჯამაგირი: ექიმების—10,000 მან., ექიმის თანაშემწეების (ფერშლების)—8,000
(ნ. 3—2) **ბორჩალოს სამაზრო საერობო გამგეობა**


[illegible] სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.